


კონკურსი

გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას

ბამარჯვებული ესეების კრებული



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლექსიკოგრაფიული ცენტრი

კონკურსი

გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას

გამარჯვებული ესეების კრებული

თბილისი

2019

კრეზულის რედაქტორი: თინათინ მარგალიტაძე

სარჩევნი

კონკურსი „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“	4
ლუკა ჩეკურაშვილი	8
მედეა ვადაჭკორია	10
მარიამ მოსეშვილი	13
ნინო კაკანაძე	15
გიორგი კომახიძე	18
მარიამ უნდილაშვილი	20
ანი ბესიაშვილი	23
მარიამ არსენაშვილი	26
შიო თუხარელი	28
ნინო დოლუაშვილი	30
ნინო თოდუა	33
მიხეილ გიორგაძე	36
გელა ადამიანი	38
ანა ოსეფაიშვილი	40
გიორგი თავაძე	42
სალომე ლასარეიშვილი	44
ანა ჯაბნიძე	46
თათია გოჩაშვილი	48
მანანა უშვერიძე	50
მარიამ ვარაზაშვილი	52

კონკურსი „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“

2016 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა დააარსა მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ სოციალურ ქსელში შეიქმნა გვერდი #არაბარბარიზმებს, რომელიც მალე გახდა პოპულარული ქართულ საზოგადოებაში და ათასობით მიმდევარი გაუჩნდა. მოძრაობის მიზანია დააფიქროს ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები ენაში მიმდინარე პროცესებზე, მათ გამოძწვევ მიზეზებზე, იმ საფრთხეებზე, რასაც ეს პროცესები იწვევს და გამოიწვევს მომავალში ენაში. ასევე მოძრაობის მიზანია განუმარტოს საზოგადოებას აღნიშნული პროცესები. ამ მიზნით სოციალურ ქსელში, მოძრაობის გვერდზე სისტემატურად ქვეყნდებოდა და ქვეყნდება სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიები, რომლებიც საზოგადოებას განუმარტავს ამა თუ იმ შეცდომას, რაც ხშირად ისმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. ამავე მიზნით ჩატარდა და მომავალშიც ჩატარდება არაერთი საჯარო ლექცია როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის, ფართო საზოგადოებისათვის. ჩატარდა და მომავალშიც დაგეგმილია კონკურსების ჩატარება ქართველი ახალგაზრდებისათვის ქართულ ენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შეიქმნა ახალი ტიპის ლექსიკონი, ბარბარიზმების ონლაინ-ლექსიკონი, რომელიც 2017 წლის მაისში განთავსდა ინტერნეტში. მასში შევიდა როგორც რუსული, ისე ინგლისური წარმომავლობის ბარბარიზმები, სულ 1100 ბარბარიზმი (<http://barbarisms.ge>).

სწორედ ამ მოძრაობის ფარგლებში ჩატარა ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა 2018 წელს კონკურსი სკოლის მოსწავლეებისათვის „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“, რომელიც მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლისთავს. კონკურსში 32 სკოლამ მიიღო მონაწილეობა მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს სკოლებია: ქ. თბილისის 23-ე, 24-ე, 28-ე, 45-ე, 94-ე, 133-ე და 156-ე საჯარო სკოლები; ქ. ბათუმის მე-15 საჯარო სკოლა; ქ. მცხეთის პირველი საჯარო სკოლა; ქ. ქუთაისის 32-ე საჯარო სკოლა; ქ. გორის მე-3 საჯარო სკოლა; ქ. რუსთავის მე-4, მე-8, მე-16 და მე-17 საჯარო სკოლები; ოზურგეთის მე-2 საჯარო სკოლა; საჩხერის მე-2 საჯარო სკოლა; ხაშურის მე-6 საჯარო სკოლა; ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლა; ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის პირველი საჯარო სკოლა; ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. სავანეთის საჯარო სკოლა; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის მე-2 საჯარო სკოლა; გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანის საჯარო სკოლა; მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის საჯარო სკოლა; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა; სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგის საჯარო სკოლა; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა; ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის საჯარო სკოლა; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთის საჯარო სკოლა.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ სკოლას და მის დირექტორს, თითოეულ მასწავლებელსა და მოსწავლეს, რომელთაც მიიღეს კონკურსში მონაწილეობა და საინტერესო ნამუშევრები შექმნეს.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. სკოლის მოსწავლეებმა დაწერეს ესეი თემაზე: „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“, სკოლებმა კი ჩაატარეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

საკონკურსო ჟიურის სკოლებმა განსახილველად გადასცეს მათ მიერ შერჩეული 125 ესეი, რომელთაგანაც ჟიურიმ გამოავლინა 20 გამარჯვებული მოსწავლე. საკონკურსო ჟიურიმ ასევე გამოავლინა კონკურსში გამარჯვებული მასწავლებლები და სკოლები. 2018 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გამარჯვებული მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლები დაჯილდოვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამარჯვებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლებს დიპლომებთან და სიგელებთან ერთად გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები და პრიზები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისგან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან და თიბისი ბანკისგან.

კონკურსის დიპლომებით დაჯილდოვდნენ შემდეგი გამარჯვებული სკოლები:

ქ. თბილისის 94-ე, 24-ე, 45-ე, 28-ე და 133-ე საჯარო სკოლები; ქ. ქუთაისის 32-ე საჯარო სკოლა; ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა და ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლა. კონკურსში მონაწილეობისა და საინტერესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის კონკურსის სიგელებით დაჯილდოვდნენ შემდეგი სკოლები: ხარაგაულის რაიონის სოფ. ბაზალეთის საჯარო სკოლა; ხარაგაულის რაიონის მე-3 საჯარო სკოლა; ქ. რუსთავის მე-8 საჯარო სკოლა; ჩოხატაურის რაიონის სოფ. კობნარის საჯარო სკოლა; ქ. გორის მე-3 საჯარო სკოლა და გორის რაიონის სოფ. ზერტის საჯარო სკოლა.

კონკურსის სიგელებით დაჯილდოვდა ყველა მასწავლებელი, რომელმაც კონკურსს ორგანიზება გაუწია საკუთარ სკოლაში: ელენე ხუსკივაძე, ნინო იოსავა (24-ე სკოლა); თინა გიორგაძე (28-ე სკოლა); ნანა ასანიძე (45-ე სკოლა); ბაირა გამყრელიძე, თამილა მალრაძე (94-ე სკოლა); ნინო ქვრივიშვილი (133-ე სკოლა); მარინე მახანაშვილი, ნონა ტერტერაშვილი, ცირა ტერტერაშვილი, თინათინ მირაზანაშვილი (გორის რაიონის სოფ. ზერტის საჯარო სკოლა); ლია დათაშვილი (ქ. გორის მე-3 საჯარო სკოლა); ნათელა ვაშალომიძე (ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა); მარინა დვალი, მაია ოქროსაშვილი, ლალი დალაღიშვილი (ქ. რუსთავის მე-8 საჯარო სკოლა); ნელი მახარაძე, ნესტან ზოიძე (ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლა); რუსუდან ხობუა, ნათელა ხაზარაძე (ქ. ქუთაისის 32-ე საჯარო სკოლა); ნანა ახალაძე (ჩოხატაურის რაიონის სოფ. კობნარის საჯარო სკოლა); თეა ტალახაძე (ხარაგაულის რაიონის სოფ. ბაზალეთის საჯარო სკოლა); მარინე ხვედელიძე, დალი ლურსმანაშვილი, ნანა ნებიერეიძე, ქეთევან ჩაჩანიძე, ნანული დევდარიანი (ხარაგაულის რაიონის მე-3 საჯარო სკოლა).

წინამდებარე კრებულში კი დაიბეჭდა ესეების კონკურსში გამარჯვებული 20 მოსწავლის თხზულება.

საოცრად ამროვნებენ ჩვენი ბავშვები!

მათ ესმით, რომ ენა ღრმადია გადაწვნილი ერის სულთან და მის იდენტობასთან. ქართულ ენას ისინი განიხილავენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ბურჯად. მათ ესმით, რომ ენის დაკნინება და გაღარიბება ერის სულიერების დაკნინებას გამოიწვევს და არაერთი ციტატა მოჰყავთ ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან ამის დასტურად.

ჩვენმა ბავშვებმა იციან, რომ ისინი პატარა ერის შვილები არიან და მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია უცხო ენების ცოდნა. უცხო ენების ცოდნა კი არ ნიშნავს იმას, რომ მშობლიურ ენაზე გამართულად ვერ მეტყველებდე. უცხო ენების ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ მშობლიური ენა უცხო ენის სიტყვებით აავსო. მათ არ მოსწონთ ენაში მოჭარბებული ბარბარიზმები და გულწრფელად ნუხან ამის გამო. „სინამდვილეში, არაფერია უფრო ანტი-დასავლური, ვიდრე საკუთარი ენის მიზნობრივი დამახინჯება,“ წერს ერთ-ერთი ესეის ავტორი.

ჩვენს შვილებს ისიც კარგად ესმით, რომ ენა მუდმივად ვითარდება და მასში უცხო სიტყვები ადრეც შემოდიოდა და მომავალშიც შემოვა. თუმცა ისინი თვლიან, რომ უცხო სიტყვამ ენაში სიცარიელე უნდა შეავსოს, ენაში უნდა შემოიტანოს ახალი ცოდნა. მათ არ მიაჩნიათ მართებულად ქართულ ენაში ისეთი სიტყვების დამკვიდრება, რომელსაც არაერთი ქართული შესატყვისი აქვს და იწვევს ენიდან ამ შესატყვისების განდევნას. ახალი ცნებების აღსანიშნავადაც ახალი ფორმები ქართული ენის წიაღში, ფესვებში ვეძიოთ, იქნებ დიალექტებიც დაგვეხმაროსო, - წერენ ქართველი მოსწავლეები.

ქართველი ახალგაზრდები იმ მიზეზებზეც მსჯელობენ, რაც ქართულ ენაში ამ პროცესებს იწვევს. ბარბარიზმების მოძალების, მდარე სამეტყველო კულტურისა და ჟარგონების დამკვიდრების მიზეზად ისინი საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულ ინტელექტუალურ და სულიერ პროვინციალიზმს განიხილავენ, მიზეზი მიმბაძველობა და ეროვნული არასრულფასოვნების მძაფრი კომპლექსი და აგრეთვე, განათლების დონის მკვეთრი დაცემა ჰგონიათ.

ქართველი ბავშვები ნუხან იმის გამო, რომ საქართველოში არის რეგიონები, სადაც მოსახლეობამ არ იცის სახელმწიფო ენა. მათ ეს არანორმალურ მოვლენად მიაჩნიათ და წერენ, რომ ასეთი რამ მიუღებელია ევროპული ტიპის სახელმწიფოსათვის, სადაც სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა ამთლიანებს ქვეყანას და მოსახლეობას აქცევს ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად.

ჩვენი ახალგაზრდები გლობალიზაციის თემასაც ეხებიან და ძალიან საღად უყურებენ ამ პროცესს. „ჩემი აზრით, მსოფლიო გლობალიზაცია გაერთიანებულს სულაც არ გულისხმობს, არამედ თანასწორუფლებიანი ერების თანაარსებობას,“ ვკითხულობთ ერთ-ერთი გამარჯვებული კონკურსანტის თხზულებაში. არაერთ ესეიში იყო მოყვანილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სიტყვები იმის თაობაზე, რომ თუ ქართველები მიზნად დავისახავთ გაინგლისელებას, გაგერმანელებას, გააფრანგებას, გაამერიკელებას თუ გარუსებას, ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, ამერიკელი ან რუსი და ქართველობასაც დავკარგავთ. „თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვვებარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით მსოფლიოს ნამდვილი მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობის წაშლა და გათქვეფა.“ ერთ-ერთი კონკურსანტი გვთხოვს წარმოვიდგინოთ მდელო, რომელიც სხვადასხვაფერი ყვავილებითაა მოფენილი: წითელს მწვანე ცვლის, მწვანეს ლურჯი, ლურჯს ყვითელი და ა.შ. და შემდეგ წარმოვიდგინოთ, გვეუბნება ქართველი გოგონა, იგივე მინდორი მხოლოდ ერთი ფერის ყვავილებითო. დიახ, აი ასე საღად და ჯანსაღად ესმით მათ გლობალიზაციის პროცესი, არა ერთგვაროვანი და ერთფეროვანი სამყარო, არამედ მრავალფეროვანი, თანასწორი ერების თანაარსებობა. ჩვენ ბავშვები ღრმად არიან დარწმუნებული იმაში, რომ ქართული ენა და ქართველი ერი იმსახურებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ენებისა და ერების გვერდით.

„რატომ უნდა გავუფრთხილდე ქართულ ენას?“, - წერს ერთ-ერთი მოსწავლე, „იქნებ იმიტომ, რომ ეს ჩვენი ვალია, იქნებ იმიტომ რომ უკანასკნელნი ვართ ვისაც ამის გაკეთება შეგვიძლია, იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი დრო მოვიდა!“

დიახ! ახლა ჩვენი დროა! ახლა ჩვენ უნდა ვივაჟკაცოთ და წინაპართა ანდერძი აღვასრულოთ! მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცნენ თერგდალეულები ან 1978 წელს მთელი საქართველო! ახლა ჩვენ უნდა შევიფაროთ ენა, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ და განვწმინდოთ „მისი ბრწყინვალება“! ახლა ჩვენი ვალია, ნგრევის მაგივრად თავიდან ავადორძინოთ ჩვენი ენა ქართული. ვინ თუ არა ჩვენ?!”

მინდა ვუსურვო ჩვენს კონკურსანტებს და ყველა ქართველ ახალგაზრდას წარმატებულ და ღირსეულ საქართველოში ცხოვრება, სადაც ისინი საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებენ, სადაც ისინი იამაყებენ მშობლიური ენით, კულტურით, ისტორიითა და სხვა ფასეულობებით.

თინათინ მარბალიძაძე
კონკურსის ორგანიზატორი

ლუკა ჩეკურაშვილი

24-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

რატომ უნდა გავუფრთხილეთ მშობლიურ ენას?

კითხვა, რომელიც დიდი ხანია მანუხებს. ჩემი შინაგანი ხმა ამ კითხვას გამუდმებით მიმეორებს. ალბათ, მოვალეობაა მშობლიური ენის დაცვა. იქნებ იმიტომ უნდა მოვუფრთხილდე რომ... მგონი ზუსტი პასუხი არ მაქვს. ამ ფიქრებში გართულს უცბად ერთი უცნაური ამბავი გადაამხდა თავს. მოულოდნელად ჩემ წინ ქართული ასოები გამოჩნდნენ. ანი, ბანი, განი... ყველა აქაა! აი ჩემი საყვარელი ასოც - ლასი. აშკარად, რაღაც მნიშვნელოვანისთვის ემზადებიან. ასოთა რაზმები სიტყვებად ლაგდება. არა, არა აშკარად სიზმარში ვარ, ან მეღანდება, ფიქრებმა თავგზა ამირია. ალბათ გადავიღალე, მაგრამ არა, ისევ ასოებისა და სიტყვების სამყაროში ვარ გაჭედილი. ერთმანეთს რაღაცას ეუბნებიან, რა ცუდია! მათი ენა არ მესმის, იქნებ დახმარება სჭირდებათ? ალბათ ამიტომ ვარ მე აქ. ნუთუ ვერ მამჩნევენ? ან იქნებ არც მიმჩნევენ. საინტერესოა, ასე სწრაფად რისთვის ემზადებიან. გადავწყვიტე გამერკვია. იქვე ახლოს ჰაე დავინახე და კითხვა დავაპირე, მაგრამ თვითონვე მოვიდა და შემეკითხა: „ლუკა, გიკვირს არა?“

„ნამდვილად! მოიცა, თქვენ ქართული იცით?“ - ვკითხე მე. გაეცინა, „რა თქმა უნდა, მე ხომ ქართული ასო ვარ“. „კი, მაგრამ ჩემი სახელი? ჩემი სახელი საიდან იცი?“

სანამ ამ გაუგებრობაში ვიყავი და ვცდილობდი რამენაირად გავრკვეულიყავი სიტუაციაში, ნაცნობი ხმა ისევ ჩამესმოდა: რატომ უნდა გავუფრთხილდე მშობლიურ ენას? ამ ხმამ კიდევ უფრო გამაღიზიანა და მთელი სერიოზულობით მოვთხოვე ასო ჰაეს სიტუაციის ახსნა.

სასაცილოა არა? ანბანს დავეწყე ლაპარაკი, არც არავინ დაიჭერებს. ანბანის 33 წევრი ჩემ გარშემო შემოიკრიბა და ვითარების ახსნა დაიწყო: „ლუკა, შენ ხარ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც უნდა დაიცვას მშობლიური ქართული ენა“. როგორც ჩანს, საქმე სერიოზულადაა, გავიფიქრე მე... აქვე ჩემი ძველი მეგობრის ერთი ნათქვამი გამახსენდა: „იცი? წალეკა ჩვენი ენა ქართული ბარბარიზმების უცხო ტომებმა, ჩვენს დიად ასოებს რაღაც გაუგებარი სიტყვების საწერად იყენებენ“.... და ისევ ის ხმა, რომელიც ამჯერად ერთის მაგივრად ორ კითხვას მისვამს: რატომ უნდა გავუფრთხილდე მშობლიურ ენას? როგორ უნდა გავუფრთხილდე მას?

ეს ხმა უფრო და უფრო მაღიზიანებს, რადგან პასუხი ისევ არ მაქვს. ბგერები 33 მებრძოლად იქცნენ და თავისი ისტორია მიაბნეს. მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, მთელი ინტერესით მოვუსმინე: ადრე უფრო მეტნი, 38 ყოფილან, შემდეგ 5 გამქრალა. ჟამთა სვლამ და ენის განვითარებამ მოიტანა ასე. ისინი, ასევე, მიყვებოდნენ იმ დიდებულ პერიოდზე, როდესაც ინერებოდა „ვეფხისტყაოსანი“, როცა ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები ამ ლამაზი ენით თავიანთ სათქმელს ამბობდნენ, როცა იაკობი ჩვენს „დედა ენას“ ქმნიდა, როცა ქართველნი ქართულ ენას და მის სინძინდეს სისხლის ფასად იცავდნენ.... და დღეს, რა ხდება? სამწუხაროდ, ენა ბარბარიზმებთან ომს ისევ ეწირება. ამიტომაც არიან ასოები აფორიაქებულნი, ბრძოლა უწევთ მათ წინააღმდეგ. მათი მონაყოლიდან ვიგებ, რომ ამჯერად უფრო ბევრი და ძლიერი მეტოქე ყავთ. ახლა კი დამხმარე მოხალისეები სჭირდებათ ქართული ენის არმიაში და სწორედ ეს არის ჩემი ამ სამყაროში მოხვედრის მიზეზიც.

„კი მაგრამ, მე, რაში გჭირდებით? აქამდე ხომ თქვენით, დამოუკიდებლად მოხვედით?“ ... „ისევ ცდები ლუკა“, - მომიგო ბგერა ხანმა, „ჩვენი აქამდე მოსვლა სწორედ უბრალო ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც განუწყვეტლივ იბრძოდნენ ბარბარიზმების წინააღმდეგ. ამჯერად კი სიტუაცია უკიდურესად მძიმეა. ჩვენი მეტოქეა თავად ინგლისური ენიდან შემოდენილი ბარბარიზმები. ამ ენის სიტყვებით შექმნილი ბარბარიზმები კი ანადგურებენ და ამახინჯებენ ჩვენს ენას: იგი ისმის ყველგან, მას იყენებს ბევრი. ქართული ენის არმია ორ ფრონტზე იბრძვის. აგერ უკვე საუკუნეზე მეტია ვებრძვით რუსული ენიდან შემოსულ ბარბარიზმებს, ზოგიერთი მათგანი კი სისხლში ისე გაგვიჭდა, რომ ვინმემ რომ გვითხრას არ არის ეგ სწორი ქართულიო, ბრაზითაც კი შევხედავთ და საყვედურსაც არ დავიშურებთ ვითომდა ჩვენს „გამართულ მეტყველებაში“ ეჭვის შეტანისთვის.

ისევ ის ნაცნობი ხმა მანუხებს. ნუთუ კიდევ არ მაქვს პასუხი კითხვაზე. ჰმ, ალბათ კიდევ უნდა მოვუსმინო მეომრებს. „ერთი კითხვა მაქვს, შეიძლება დაგისვათ?“

„რა თქმა უნდა“, - გამომეპასუხა ასო დონი. „ყველაზე მეტად სად გიჭირთ ენის დაცვა?“

„კარგი კითხვაა, პასუხს რაე გაგცემს“. „ყველაზე მეტად ახალგაზრდებში გვიჭირს ენის დაცვა, როდესაც შენი ასაკის ადამიანებს ბარბარიზმებით ლაპარაკი განათლების გამომხატველი და კარგი ჰგონია. არადა ენის დაცვა პატარა ასაკის ბავშვებსა და ახალგაზრდებშია ყველაზე აუცილებელი. ისინი მომავალ მეომრებად უნდა აღიზარდონ. ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც გამუდმებით ვითარდება და გამუდმებით საჭიროებს დაცვას“.

„ჩემი პირველი დავალება რა იქნება?“ - ვიკითხე მე.

„მალე გაიგებ, ან იქნებ, შენ თვითონაც მიხვდე“.

უცბად წამოვხტი. რა ხდება? ჰმ, ისევ სავარძელში ჩამძინებია ფიქრის დროს. რაც ვნახე ნეტავ მართალია? კი, კი მართალია. ისევ ის კითხვა, ისევ ის ხმა: რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას? მააქვს პასუხი? დიახ, როგორც იქნა მე მაქვს პასუხი! როგორც იქნა მივხვდი ვისი ხმა ჩამესმის: ქართველობის სინდისის ხმა, რომელიც მიფორიაქებს სულს, რადგან ენა არის ერისა და ქვეყნის არსებობის, მისი მომავლის, მისი ძლიერების ერთ-ერთი მთავარი იარაღი. ამიტომაც მისი დაცვა, მოფრთხილება ყველასათვის სავალდებულო, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“. ენა არის ისტორია, რომელიც ქართველი ხალხის გენს ინახავს.

არასოდეს დამავინწყდება ეს საოცარი მოგზაურობა ანბანის სამყაროში, რომელსაც ეს სახელი თავად შევარქვი. და მივხვდი იმასაც, რომ ჩემი პირველი დავალებაც სწორედ ესაა: აქ მოსვლა და შეჯიბრში ჩართვა, მოძრაობაში „არა ბარბარიზმებს!“ მონაწილეობა.

იმედია ჩემი პირველი დავალება კარგად შევასრულე, ველოდები ახალ ბრძანებებს 33-წევრიანი რაზმისგან.

ქართული ენის დამცველთა რაზმის ერთ-ერთი მოხალისე ლუკა ჩეკურამვილი.

მედია ვადაჭკორია

23-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

14 აპრილს საქართველოში „დედაენის“ დღე აღინიშნება. ეს თარიღი 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს უკავშირდება, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ, ინტელიგენციასთან ერთად, მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა სსრკ-ის ხელისუფლების გადანაცვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების მცდელობას.

1801 წელს, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, აკძალულად ითვლებოდა. XIX საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოს ყველა სასწავლებელში, მათ შორის, სასულიერო სასწავლებლებში, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართულმა ენამ აღიდგინა სახელმწიფო ენის სტატუსი.

ამჟამინდელ საქართველოში, როგორც ცნობილია, მთელი რეგიონები არსებობს, სადაც სახელმწიფო ენა არ არის ამ რეგიონების მოსახლეობის ენა. ქართული ენა ამ რეგიონებში არც იციან. ევროპული ტიპის ქვეყანაში ასეთი მდგომარეობა მიუღებელია. ევროპულ ქვეყნებში ქვეყნის დომინანტ ერებს ავალდებულებენ, თავიანთი ენითა და კულტურით გაამთლიანონ ქვეყნის მოსახლეობა, აქციონ ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად.

არადა ძველად, XIX საუკუნემდე, ქართული კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. უფრო მეტიც, XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ქართული ენა იყო კავკასიის ხალხებისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა. ქართული ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს დაღესტნელი დიდოელები და ჭარ-ბელაქნელი (აზერბაიჯანელი) ლეკები, ქართული ენა იცოდნენ ჩეჩენი და ადიღეველი ხალხების დიდებულებმა, საქართველოში მცხოვრებმა მუსულმანებმა.

ერის თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების პროცესში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მშობლიური ენა. შემთხვევითი არ იყო, რომ მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოს და მიზანს რწმენასა და მამულთან ერთად, ენა და მისი დაცვა წარმოადგენდა. თუმცა მშობლიური ენის მნიშვნელობას მარტო ჩვენ - ქართველები არ მივმხვდარვართ. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ყველა კონტინენტზე არაერთი განმათავისუფლებელი მოძრაობის თუ საგანმანათლებლო-ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი მოტივი სწორედ მშობლიური ენის თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო. სამწუხაროდ, როგორც უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, ქართული საზოგადოება ვეღარ ისიგრძეგანებს ქართული ენისა და მისი თვითმყოფადობის დაცვის მნიშვნელობას. ის პროცესები, რომლებიც დღეს ქართულ ენაში მიმდინარეობს, ენათმეცნიერის ცოდნას არ საჭიროებს იმის მისახვედრად, რომ ქართული ენა საფრთხის წინაშე დგას.

ნათელზე ნათელია, რომ საქართველოს ფსევდოელიტური წრეები, რომლებიც ქართულში უცხოურ სიტყვებს დიდი გულმოდგინებით იყენებენ, ამით მათ ირგვლივ ყალბი ინტელექტუალიზმის და განვითარებულობის აურას ქნიან და მსმენელის და მკითხველის მოხიბლვას ცდილობენ. ძნელი სათქმელია, ხვდებიან თუ არა ისინი, თუ რაოდენ დიდ ზიანს

აყენებენ ქართულ ენას, რომელიც უცხოური ლექსიკის მოძალების გამო თანდათანობით კარგავს უამრავ საკუთარ სიტყვას და ღარიბდება.

რა თქმა უნდა, დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ენები, რომლებიც მთლიანად საკუთარ სიტყვათა მარაგს ეყრდნობა. საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ყველა ენამ უამრავი უცხო სიტყვა შეითვისა ერთმანეთისგან. გამონაკლისი, არც ქართულია, რომლის წიაღში დროთა განმავლობაში ადგილი დაიმკვიდრა არაერთმა ბერძნულმა, ლათინურმა, არაბულმა, სპარსულმა თუ თურქულმა სიტყვამ. ენის სიტყვათა ახალი მარაგით გამდიდრება ბუნებრივი პროცესია, რომელშიც, თავისთავად, ქართული ენაც ჩართულია. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუკი ყოველი ახალი უცხოური სიტყვა ენაში არარსებული სიტყვის ადგილს იკავებს, სიცარიელეს ავსებს და მასში ახალი მნიშვნელობა და აზრი შეაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოური სიტყვა ხშირად უკვე არსებულს აძევებს და აღარიბებს ენას.

არადა, ქართულ ენას უზარმაზარი ლექსიკური მარაგი აქვს, რის მაგალითსაც ქართულად ნათარგმნი მსოფლიო ლიტერატურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნიმუშები წარმოადგენს - ძველი აღთქმიდან დაწყებული, თანამედროვე პოეტების ნაწარმოებებით დამთავრებული. გამოვიყენოთ სიტყვათა ბუნებრივი მარაგი და თუ ქართულ ენას რაიმე ახალი მნიშვნელობის სიტყვა დასჭირდება, ის მას ბუნებრივად მოძებნის და გაითავისებს!

ენას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა. ენა, მიწა-წყალთან და სარწმუნოებასთან ერთად, დედაბოძია ეროვნებისა. იცავდე შენი ენის სინძინდეს, ეს ნიშნავს, იცავდე შენს მეობას, ღირსებას, შენი ერის კულტურასა და ისტორიას.

აღრეული, წარყვნილი მეტყველება უნიგნურობის, უკულტურობის პირველი ნიშანია. მეტიც, ილია ამბობდა: „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“. კონსტანტინე გამსახურდია კი ბრძანებდა: „მშობლიური ენის სინძინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსა“.

დამახინჯებული მეტყველება დამახინჯებული აზროვნების, დეფორმირებული ცნობიერების გამოხატულებაა. გრიგოლ ორბელიანის ცნობილი სტრიქონები, რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო, იმ აზრის შემცველიც არის, რომ ბრძოლა ენის სინძინდისათვის, ენის ავგიასეული თავლის განწმენდა-გასუფთავება, ერის სულიერი გაჯანსაღების საწინდარია.

საქართველოში რუსული ენის გაბატონების პოლიტიკით შემფოთებულმა XIX საუკუნის ქართველმა მამულიშვილებმა გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა ხმა აღიმალლეს მშობლიური ენის სინძინდის დასაცავად...

XX საუკუნის 60-იან წლებში დაიქუხა მუხრან მაჭავარიანმაც: „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს“...

ერის სახელოვანი წინაპრების გულისტკივილის გახმოვანება დღეს აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია, რადგან მშობლიურ ქართულ ენას XXI საუკუნეშიც საფრთხე ემუქრება. გაისეირნეთ თბილისის მთავარ გამზირზე - რუსთაველზე და დარწმუნდებით, აბრებზე ქართულ წარწერას ვეღარ იხილავთ, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ალბათ, ზოგიერთებს მოსწონთ ინგლისურენოვანი წარწერები და ისიც, რომ ქართველ ბავშვებს იაკობ გოგებაშვილის დედაენის ნაცვლად, ინგლისური ენა უნდა შევასწავლოთ კომპიუტერით.

დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი გვასწავლიდა: „აქსიომად არის აღიარებული, რომ ბავშვმა მას უკან იწყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“.

თვალსაჩინო ქართველი პოეტისა და დიდი მამულიშვილის მუხრან მაჭავარიანის ცნობილი ლექსის სტრიქონებს კომენტარი აღარ სჭირდება:

„ენა არ განყენს არც ერთი, უნდა იცოდე რამდენიც, ოღონდ არ უნდა დაჰკარგო ქართული სიტყვის ნათელი! განა იმისთვის იბრძოდნენ წარსულში მამა-პაპანი - დღეს შვილმა აღარ იცოდეს სისხლით დაცული ანბანი?!“

მარია მოსეშვილი

32-ე საჯარო სკოლა, ე. მუთაისი

„ო, ენავ ჩემო!“ - ვამბობთ ჩვენ და ეს ერთი ფრაზა, ინტონაციურად, ლოცვასაც მოგვაგონებს. შორისდებული „ო“ კი ყველაფერს ნიშნავს და მეტია, ვიდრე მეტყველების ნაწილი. იგი მოიცავს: თავმომწონეობას და სიამაყეს მშობლიური ენის გამორჩეულობის, სიძველისა და ორიგინალობის გამო. სიამაყეს იმის გამოც, რომ ქართული ის ენაა „რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების!“ (იოანე ზოსიმე). „ო, ენავ ჩემო!“ - ვამბობთ და ამით გამოვხატავთ ცნობიერ დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი. თუ ქართული ენა „ღმერთების ენაა“ და „ქართველთ რწმენაა“ დღეს რატომ აღარ გვესმის:

„ჩვენი ქართული - რუსთველის ენა,
ილიას ენა, აკაკის ენა!“

მავანი შეიძლება შემოგვედავოს, „როგორ თუ არ გვესმის?!“ - სწავლება ხომ ქართულ ენაზე მიმდინარეობს, უამრავი ჟურნალ-გაზეთიც გამოდის, წიგნებიც იბეჭდება, ფილმებსაც კი იღებენ... განა არ ვსწავლობთ: რუსთაველს, ბარათაშვილს, აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონს?! აკაკიმ იცოდა, განა არ იცოდა ვაჟას ფასი და ის, რომ ვაჟა „მარგალიტების მთესველი იყო,“ მაგრამ სხვები გააფრთხილა „ენას გინუნებ ფშაველო“.

დიალექტს ვინლა დაეძებს! გვესმის ათასი სტილისტური ხარვეზით, ენობრივ-გრამატიკული ნორმების დარღვევით, ბარბარიზმებით, ჟარგონებით დამახინჯებული ენა, რომელიც აღარც კი ჰგავს ქართულს.

ჩემთვის განსაკუთრებით აუტანელია ქართული სიტყვების, მთელი ფრაზების ბარბარიზმებით ჩანაცვლება, სადღაა „ღმერთების ენა?!“

„ფართიზე მივდივარ“, „სეილი იწყება“, „ივენთი მოვანყო“, „დაალაიქე“, „პერფომანსს უნდა დავესწრო“. ასევე აუტანელია ენობრივ-გრამატიკული შეცდომებით წერა და მეტყველება : „ვსვავ შეკითვას“ , „ვკბიჩავ ვაშლს“, „დავანერიე დავალება“, „ყველა საქართველოს მოქალაქე“ და სხვა. დღეს რაც ხდება, ეს პროვინციალიზმის გამოვლინებაა, სჯობს, ვეცადოთ ქართული ენისთვის ბუნებრივი ფორმებით ვწეროთ და ვისაუბროთ თორემ...

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“

კარგად მესმის, რომ ენა ვითარდება, რომ ლექსიკური მარაგი მდიდრდება უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებითა და გამოთქმებით, ასევე ეპოქა და დღევანდელი ცხოვრებისეული სინამდვილეც მოითხოვს ნეოლოგიზმების - ახალი სიტყვებისა და ტერმინების შემოღებას, მაგალითად როგორცაა: მასმედია, მარკეტინგი, იმიჯი და სხვა. თუმცა აქაც ზომიერება საჭირო! ენა უნდა გავამდიდროთ, განვაკითაროთ და არა შევაგინროვოთ და დავჩაგროთ! ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი რაოდენობით ინგლისური სიტყვების ქართულში დამკვიდრებაში არაფერია პროგრესული და მაღალკულტურული, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. სინამდვილეში, არაფერია უფრო ანტი-დასავლური, ვიდრე საკუთარი ენის მიზნობრივი დამახინჯება.

დღეს ქართულს ენას დაცვა სჭირდება და ამ პროცესში თითოეულ ჩვენგანს თავისი წვლილის შეტანა შეუძლია, თუნდაც ისეთი მარტივი ქმედებით, როგორცაა გამართული

ქართულით მეტყველება, ბარბარიზმებზე და ჟარგონებზე უარის თქმა და სხვებისთვისაც იგივე ქმედებისკენ მოწოდება.

„ჩემი სამშობლო - ქართული ენაა, იგი უსაზღვრო და ხელშეუხებელია. იგი ჩემშია და ჩემს გარეთაცა. ჩემშია ბავშვობიდან მოყოლებული სიტყვების მარაგით. ჩემშია: რუსთაველით, გურამიშვილით, ბარათაშვილით, ილიათი, აკაკით, ვაჟათი და გალაკტიონით...“.

ამაზე უკეთ ვერაფერს ვიტყვი.

ენის სიყვარული ხომ გულის სიღრმიდან მოდის.

წინმო კაპანაძე

ხალიფაურის საჯარო სკოლა, ჭიათურის მუნიციპალიტეტი

ენა ქართული - უწმინდესი, უნარნარესი...

ენა ქართული - უნატიფესი, უანკარესი...

ენა ქართული - ღვთიური განძი ქართველი ერის, ნადირ-ფრინველი, დიდ-პატარა - ყველა უმღერის...

ენა, რომლითაც ფარნავაზი, დავითი, თამარი, შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი მეტყველებდნენ.

ენა ქართული - ხელთუქმნელი, მორაკრაკე სალამური...

ენა ქართული - დედოფალი დედაენათა!

„დედაენა“ - თვალხატულა სიბრძნის წიგნი...

ქართული ანბანი - უნიკალური, შეუდარებელი, უფალივით სამსახოვანი...

საკუთარი ენისა და ეროვნული თავისთავადობის შენახვა ყველაზე ღვთიურ მადლადაა შერაცხული. ნათქვამია, „უფალი მანამ იცავს შენს სულს, სანამ იცავ შენს ენას“.

ქართულ ენას, სხვა ენათა მსგავსად, არ გააჩნია მამრობითი, მდედრობითი და საშუალი სქესი. ვნერთ ისე, როგორც ვმეტყველებთ. ვკითხულობთ ისე, როგორც ვწერთ, არ ვიყენებთ დიდ ასოებს და კითხვა „ვინ“? დაესმის მხოლოდ ადამიანს.

თუკი ძველბერძნული და ლათინური მკვდარი ენებია, და დღეს ამ ენაზე ნათქვამს ვერც ბერძენი გაიგებს და ვერც იტალიელი, თუ ძველი სომხური ენა აღარ ესმის თანამედროვე სომეხს, ჩვენი ენა იმითაა ღირებული და გამორჩეული, რომ V საუკუნეში დაწერილ „შუშანიკის წამებას“ XXI საუკუნეშიც უპრობლემოდ ვკითხულობთ და მისი შინაარსი გვესმის.

საუკუნეთა განმავლობაში ვერც ქართული ენა ასცდა ბარბარიზმებს. მომხვედური მტერი და სავაჭრო ურთიერთობა ხელს უწყობდა უცხო სიტყვათა შემოჭრას, მაგრამ ერი და ეკლესია მუდამ ფხიბლობდა. დედაეკლესია ამჟამადაც იცავს ენის სინძინდეს. ლაზარეს შაბათი ქართული ენის დიდების დღედ გამოაცხადა.

ჰო, არაერთხელ შექმნია საფრთხე, „გზადაგზა რყვინდნენ, ამღვრევდნენ, ყიდდნენ“...

დიდი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი დედაენა - ე. წ. „დარბაისლურ ქართულად“ და „მდაბიურ კილოდ“ გაიყო იგი. სწორედ ამას მოჰყვა „მამათა და შვილთა“ ცნობილი პოლემიკა, რომელიც „შვილთა“ გამარჯვებით დასრულდა.

„ენა მდიდარი, თქვენს ხელში მკვდარი, თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია“, - წერს ილია მართალი (ჭავჭავაძე) გრიგოლ ორბელიანის პასუხად.

„თერგდალეულთა“ ღვანლით შეიქმნა ახალი ქართული სალიტერატურო ენა - დაიწერა პროზისა და პოეზიის შედევრები.

1978 წელი - ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა.

მოუსვენრობდა, არ ნებდებოდა ქართველობა, არ ეთმობოდა „დედაენა“.

ხმალი აელესა 33-ვე ხმოსანს...

„ანი“ - აბდლობდა, „ბანი“ - ბობოქრობდა, „განი“ - გრგვინავდა, „დონი“ - დრტვინავდა, „ენი“ - ერკინებოდა, „ვინი“ - ვარვარებდა, „ზენი“ - ზანზარებდა, „თანი“ - თუხთუხებდა, „ინი“ - იკლაკნებოდა, „კანი“ - კვნესოდა, „ლასი“ - ლაპლაპებდა, „მანი“ - მარდობდა, „ნარი“ - ნებამტკიცობდა, „ონი“ - ოხრავდა, „პარი“ - პარპალებდა, „ჟანი“ - ჟღერიალებდა, „რაე“ - როხროხებდა, „სანი“ - სისინებდა, „ტარი“ - ტორტმანებდა, „უნი“ - უფრთხილდებოდა, „ფარი“ - ფაფხურობდა, „ქანი“ - ქუხდა, „ღარი“ - ღრიალებდა, „ყარი“ - ყმუოდა, „შინი“ - შფოთავდა, „ჩინი“ - ჩუხჩუხებდა, „ცანი“ - ცეცხლაობდა, „ძილი“ - ძიგძიგებდა, „წილი“ - წიოდა, „ჭარი“ - ჭირვეულობდა, „ხანი“ - ხრიგინებდა, „ჯანი“ - ჯუჯუნებდა, „ჰაე“ - ჰაი-ჰაის დასძახოდა, ბრაზობდა, ყველას უხმობდა.

მართლაც, ენის ღირსების დასაცავად, თბილისში მასობრივი გამოსვლები მოეწყო. ხალხთა ვნებათაღელვას უაზროდ არ ჩაუვლია და ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა.

გამოჩნდა რა გზა ხსნისა, ქართულმა ანბანმა ამოისუნთქა და განწყობაშეცვლილი „ანი“ - ამღერდა, აგალობდა, არღანი ააჟღერა, „ბანმა“ - ბანი მისცა, „განმა“ - „განდაგანა“ დაუარა, „დონმა“ - დუდუკი მიაგება, დაირასა და დოღს შემოჰკრა, „ენი“ - ელაციცებოდა, ეაღერებოდა ნებამტკიცე ქართველთ, „ვინი“ - ვარდის სურნელს აფრქვევდა, „ზენმა“ - ზანზალაკები აახმიანა, „თანი“ - თრთოდა სიხარულისაგან, „ინი“ - იმედის სხივებად გაიშალა, „კანი“ - კისკისებდა, „ლასი“ - ლივლივებდა, „მანი“ - მხსნელის ბეჭთარგადაცმული იდგა, „ნარი“ - ნარნარებდა, „ონი“ - „ოროველას“ მღეროდა, „პარი“ - პირმზეგადაყრილი სიხარულობდა, „ჟანი“ - ჟღარუნით გვაბრუებდა, „რაე“ - რაკრაკებდა, „სანი“ - სიმთმარაოს არხევდა, „ტარი“ - ტრიალ-ტრიალით დაჰქროდა, „უნი“ - უფლის ლოცვად დამდგარიყო, „ფარი“ - ფანდურს უკრავდა და ფიქრად დნებოდა, „ქანი“ - ქართულ ჩოხა-ახალუხში გამონკეპილიყო და მეწყვილეს ათვალიერებდა, „ღარი“ - ღიმილს აფრქვევდა, „ყარი“ - ყვირილ-ყვირილით იკლებდა იქაურობას - „მოვუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!“ „შინი“ - შარიშურიტ მოშრიალებდა, „ჩინი“ - ჩახჩახებდა მზესავით, „ცანი“ - ცისარტყელასავით ციმციმებდა, „ძილი“ - ძლიერდებოდა, „წილი“ - წრიალებდა სიხარულით, „ჭარი“ - ჭიკჭიკებდა მერცხალივით, „ხანი“ - ხვანცალებდა, „ჯანი“ - ჯაგჯაგებდა, „ჰაე“ - ჰანგს ეძებდა ქართული ანბანის ახლებურად ასაჟღერებლად.

რა საოცარი სვლები ჰქონდათ ქართულ ასოებს. ოცდაცამეტი ხმოსანი ხტოდა, ხელს ირდილავდა, ფიცხობდა...

დღეს ენის ბედი ჰკიდია ჩვენზე...

დღეს ენის ბედი ჰკიდია ინტელიგენციაზე...

სწორედ ქართულმა ინტელიგენციამ უნდა ითავოს დედაენის მოვლა-პატრონობა. სახელმწიფო დონეზე უნდა გადაიჭრას ყველა საკითხი, რომლებიც ენის სინმინდეს ემსახურება.

თევზი თავიდან ყროლდებო, ანუ მიზეზი ჩვენი ენის გასაჭირისა ინტელიგენციის გულგრილობასა თუ უნიათობაში უნდა ვეძებოთ. საბედნიეროდ, დღეს ამ მხრივ თითქოს ყინული დაიძრა. ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილმა ხმა აღიმალა საკუთარი ენის დასაცავად და გათამამებულ ინვესტორებსა თუ უცხოელ ბიზნესმენებს კანონით მოსთხოვა სახელმწიფო ენის პატივისცემა.

დიდი ილიას სიტყვები ისტორიასთან დაკავშირებით შეიძლება მშობლიურ ენასაც მოვარგოთ. დიახ, ერის პირქვე დამხობა და გათახსირება ხომ მაშინ იწყება, როცა იგი ივინყებს წინაპრების ენას.

რადგან ენა ერის სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი ბურჯია, სწორედ ამიტომ უნდა მას გაფრთხილება და შენარჩუნება, პატივისცემა და დაფასება.

ადამიანი მანამდე ინარჩუნებს ეროვნულობას და ინდივიდუალიზმს, სანამ მშობლიურ ენაზე აზროვნებს და მეტყველებს.

დღეს ჩვენ, თანამედროვე ქართველი ბავშვები, თუ გაუმართავი ქართულით ვსაუბრობთ, ამ დანაშაულში ლომის წილი უფროსებს მიუძღვით, რადგან ისინი უნდა იყვნენ სწორედ მაგალითის მომცემნი. მათგან უნდა ვისწავლოთ დედაენის სიყვარული და პატივისცემა.

აი, რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!

ჩვენ, ვახტანგის, დავითის, იაკობის დამოძღვრილთ, გვევალება წარსულის შენახვა და გაფრთხილება, აწმყოს ფერხულში აქტიურად ჩაბმა და ენის ნორმების დაცვა.

საბოლოოდ, დასკვნის სახით ვიტყვი, რომ ასეთ მრავალჭირვარამგადანახად ენას მოვლა-პატრონობა ესაჭიროება.

მოდით, გავუფრთხილდეთ ქართულ ენას - უთბილესს, უტკბილესს, უნატიფესს, „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას!“

ამინ!

ბიორბი კომპანიძე

24-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?... სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მინასთან გასწორებას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ამას ქადაგებდა ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, აღარც მე-19 საუკუნეა და აღარც ილია მართალი ჰყავს ქართველ ერს. ქართველთა უმრავლესობა სიამაყით იტყვის, რომ მას თავისი სამშობლო უყვარს, თუმცა ცოტა თუ აცნობიერებს საკუთარ მოვალეობას ამ სამშობლოს წინაშე. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ სამშობლოს სიყვარული მხოლოდ მასზე სიამაყით საუბარი არაა. მთავარი სწორედ მის მომავალსა და განვითარებაზე ზრუნვაა, ეს კი საკმაოდ ბევრ კომპონენტს მოიცავს. ენაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის შენარჩუნებაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების წინაპირობაა. ზოგჯერ ენაში ახალი სიტყვების შემოტანა გარდაუვალია, მაგრამ როდესაც ენაში არსებული სიტყვის მაგივრად უცხოურიდან შემოსული ანალოგი მკვიდრდება, ეს გაუმართლებელია.

სანამ იმაზე საუბარს დავიწყებდე თუ რატომ უნდა გავუფრთხილდე მშობლიურ ენას, აუცილებლად უნდა შევხებო იმ ფაქტორს თუ საიდან მოდის ბარბარიზმები, რატომ იყენებს ხალხი მათ და როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან მათი დამკვიდრება მშობლიურ ენაში. საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის ჩამორთმევის გადანყვეტილებას მთელი ქვეყანა წინ აღუდგა. მაშინ უმრავლესობა იაზრებდა ენის შეუცვლელ მნიშვნელობას სახელმწიფო საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და მოსახლეობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართულ ენას ეს მნიშვნელობა არ დაეკარგა. მაგრამ დღეს თავადვე ვუთხრით მშობლიურ ენას ძირს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული ენის ნელი მკვლელობის მოწმენი ვხდებით. ბარბარიზმები შემოედინება ტელეეკრანებიდან, ინტერნეტ-სივრციდან თუ საგაზეთო ფურცლებიდან. ჟურნალისტებთან ერთად სკოდავენ პოლიტიკოსები, ხელოვნების მოღვაწეები და ინტელექტუალებიც კი. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება თუ შეიქმნება ისეთი ჯგუფები, რომლებიც უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებს, რომლებსაც ქართულ ენაში შესატყვისი არ აქვთ მოუფიქრებენ ქართულ შესატყვისს.

ადრე თუ საქართველოს ქუჩებში რუსული წარწერები იყო თვალშისაცემი, ახლა ადვილად შეამჩნევთ სხვადასხვა დაწესებულების გადმოქართულებულ სახელებს ბოლოში აპოსტროფით, მაშინ, როდესაც ქართულ ენას აპოსტროფი არ აქვს. ამ ყველაფერზე რეაგირება ჯერ გვიანი არ არის, ჯერ კიდევ შეიძლება ქართული ენის გადარჩენა და თუ ახლა გავიმარჯვებთ ჩვენ ამ ბრძოლაში, ეს ყოველივე აუცილებლად დაგვიფასდება.

მიმაჩნია, რომ ენის დაცვის საქმეში სახელმწიფოს ჩარევა და ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება საბოლოოდ საზოგადოებაში ერთგვარ უკურეაქციას წარმოშობს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ენის საუკეთესო დამცველი არა მთავრობა და ადმინისტრაციული მეთოდები, არამედ ეროვნული თვითშეგნებით გამსჭვალული განათლებული მოქალაქე, პროფესიონალი ჟურნალისტი, კარგი მწერალი და გონიერი პოლიტიკოსია, რომლებიც კარგად ისიგრძეებენ ენის სინმინდის დაცვის მნიშვნელობას და საზოგადოებას ყოველდღიურად ბარბარიზმებს არ უზიარებენ. დასაძრახი ის არის, როდესაც ადამიანი

თავის წარმოსაჩენად მშობლიურ ენაზე განზრახ არ მეტყველებს, მაგრამ უცხო ენაზე სრულფასოვან საუბარს ვერ ახერხებს. ასეთი კი სამწუხაროდ ბევრია. თითქმის ყოველდღე ყველა ჩვენთაგანი მოვიხმართ არაქართულ სიტყვებს. მე პირადად, ვცდილობ ბარბარიზმში ჩავანაცვლო ქართული შესატყვისით, ვინაიდან ბარბარიზმები მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქართულ ენას. ადრე დამკვიდრებული რუსულენოვანი ბარბარიზმები, მაგალითად: „კაროჩე“ - მოკლედ, „პადიეზდი“ - სადარბაზო, „კურტკა“ - ქურთუკი, „დუხი“ - სუნამო და ა.შ ხშირად გვესმის და ვაკრიტიკებთ, თუმცა იგივე დამოკიდებულება არ გვაქვს ინგლისურენოვანი ბარბარიზმების მიმართ: „დათაგვა“, „დაშეარება“, „დაკლიკვა“, „დაბუსტვა“ და მრავალი სხვა, არადა ეს იგივე მოვლენაა. დღეს ქართულ ენას მოფრთხილება სჭირდება და ამ პროცესში თითოეულ ჩვენგანს თავისი წვლილის შეტანა შეუძლია, თუნდაც ისეთი მარტივი ქმედებით, როგორცაა გამართული ქართულით საუბარი, ბარბარიზმებზე უარის თქმა და სხვებისთვისაც იგივე ქმედებისკენ მოწოდება.

1978 წლის 14 აპრილს მომხდარმა მოვლენებმა ენის დასაცავად ასე ფუჭად არ უნდა ჩაიაროს. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ენა ჩვენი ეროვნული განძია. ეს განძი ჩვენ არ შეგვიქმნია, იგი ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს და საუკუნეების განმავლობაში ჩვენამდე უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლის ფასად მოიტანეს, რათა დღეს ჩვენ ქართულ ენაზე გვემეტყველა. ჩვენი ვალია, რომ ეს განძი უგუნურების გამო არ დავთმოთ, გავუფრთხილდეთ და მომავალ თაობას შეურყვნელი გადავცეთ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული მართო ენა არ არის, ის ქართველების რწმენაა. და თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ და მას საქმით დავამტკიცებთ, მე მჯერა, რომ ჩვენი ერთიანი ძალისხმევით შედეგად ქართული ენა ისე განმტკიცდება და გაძლიერდება, რომ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში იარსებებს.

მარია მუნდილაშვილი

28-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

თვალეები დახუჭეთ და წარმოიდგინეთ: იღვიძებთ, გადისხართ ქუჩაში, აღარაფერია ნაცნობი, უამრავი ადამიანი ირევა - ზოგი მომღიმარი სახით, ზოგს სადღაც ეჩქარება, ზოგი დაბნეული ვიღაცას ელოდება. თქვენც გსურთ ამ საზოგადოების ნაწილი გახდეთ, თუმცა გაუფერულდით, გაფერმკრთალდით. თქვენი ენა უცხოა, ვერავის ვერაფერს აგებინებთ, იმდენად ხმამაღლა ყვირით, რომ დუმხართ. ცდილობთ რამე ნაცნობი დაინახოთ. არაფერია! მხოლოდ უაზრო წარწერები, რომელიც არც კი გეცნობათ. დგახართ გაშეშებული და თქვენს თავს ეკითხებით - სად ვარ?

დიახ, თქვენ საქართველოში ხართ. ვივარაუდებთ ორმოცდაათი წლის შემდეგ. დღესდღეობით, გაეროს მონაცემებით, ქართველი ერი და ქართული ენა მომაკვდავი ერებისა და ენების სიაშია შეყვანილი. ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა სვლა, ალბათ, ორმოცდაათი წელიც არ დასჭირდება ენის საბოლოო გადაგვარებას. ისე ვითარდება მოვლენები, რომ ილიასა და აკაკის სიტყვები მახსენდება მიძინებულ საქართველოზე, რომელთა აზრითაც, გაურკვეველია, როდის გველირდება გაღვიძება?!

რატომ მივედით აქამდე? რატომ არ ვაფასებთ იმას, რასაც ყველაზე მეტად უნდა ვაფასებდეთ, დიდი ვაი-ვაგლახით შექმნილს და ჩვენამდე მოღწეულს? თუმცა, ქართველებს გვჩვენია მიძინება, თუ რაღაცას ძალით არ გვართმევენ. დარწმუნებული ვარ, ქართულად ლაპარაკი რომ აიკრძალოს, კბილებით დაიცავენ მას. არ გვიკრძალავენ და უცხო სიტყვები უფრო მოდური გახდა. მაგალითია ის, რაც დღეს ხდება სოციალურ სივრცეში, ტელევიზიაში, ქუჩებში, აფიშებზე. მოკლედ რომ ვთქვათ, „ვიდით ნაკუნ-ნაკუნ, ვისაც რამდენი და როგორც სურს“, ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვსხედვართ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევის გადანყვეტილებას მთელი ქვეყანა წინ აღუდგა. მაშინ უმრავლესობა იაზრებდა ენის შეუცვლელ მნიშვნელობას. წინ აღვუდგეთ „სხვას“, მაგრამ დღეს თავადვე ვქმნით იმის სერიოზულ წინაპირობას, რომ სამომავლოდ ჩვენი ენა უცხო სიტყვათა კრებული იყოს. სამწუხაროდ, ჩვენს ენას ეს უკვე მნიშვნელოვნად დაეტყო.

ამასწინათ, საკმაოდ მოდური წინადადება იყო სოციალურ ქსელში: „#I am from Georgia and my country is occupied by Russia“ ან „#Stop Russia!“, ვითომ პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი საზოგადოება რომ ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს გაერთიანების საქმეში. სირცხვილია, როცა დაკარგულის დაბრუნებას ვცდილობთ კიდევ რაღაცის დაკარგვით. თუმცა რას ვიზამთ, ცუდია თუ კარგია რეალობაა. „საქართველოში ჯერ ქართველის გარდა არავინ დაჩაგრულა“. მტერსაც ხომ მოყვრულად უნდა დახვედრა?! ჩვენთან არასდროს არავის უგრძვნია თავი უცხოდ.

ენა მყისიერად რეაგირებს ისტორიული ეპოქების ცვლილებასა და კულტურულ ტრადიციებზე. დღესდღეობით ჭირს რომელიმე სიტყვაზე თქვა ძირეულია თუ ნასესხები?! თუ ნასესხებია - საიდან? რომელი ენიდან? რომელი კულტურულ-პოლიტიკური და რელიგიური გარემოდან?

ეთნოფსიქოლოგიური ანალიზი ამ ფაქტისა შეიძლება სხვანაირად ჩამოვაცალიბოთ: როდესაც ერი დამარცხებულია, ქვეყანის 20 % კი დაპყრობილი, ჩნდება ნიჰილიზმის

განცდა, რომ ჩვენ არ ვარგივართ. ეს აგრესია გადადის ენაზეც. ზოგჯერ გაცნობიერებულად და ზოგჯერ გაუცნობიერებულად და დღეს ჩვენ ვართ მშობლიური ენისადმი აგრესიული დამოკიდებულების სტადიაში. ეს ნიჰილიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მას თანამედროვე დასავლელმა მეცნიერებმა „ოიკოფობია“ უწოდეს.

„26 საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს“ - როდესაც ამ სიტყვებს წერდა გალაკტიონი, მხოლოდ ჯავახიშვილის „პალეოგრაფიას“ კი არ ამეტყველებდა პოეზიის ენით, არამედ ის თავის თანამედროვეთა ნაწილს არცხვენდა, რომელთაც ჩვენი თანამედროვეების მსგავსი ნიჰილისტური დამოკიდებულება ჰქონდათ ენისადმი და ამ ენით გადმოცემული ფასეულობებისადმი.

ქართველთა უმრავლესობა სიამაყით იტყვის, რომ მას თავისი სამშობლო უყვარს, თუმცა ცოტა თუ აცნობიერებს საკუთარ მოვალეობას ამ სამშობლოს წინაშე. ჩვენ ხშირად გვაკინძვდება, რომ სამშობლოს სიყვარული მხოლოდ მასზე სიამაყით საუბარი არაა. მთავარი სწორედ მის მომავალსა და განვითარებაზე ზრუნვაა, ეს კი საკმაოდ ბევრ კომპონენტს მოიცავს. ენაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის შენარჩუნებაც ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების წინაპირობაა.

ქართული ენა და მწერლობა ჩვენი გმირი მწერლებისა და მონამეების ენაა. ადამიანი დგება არჩევნის წინაშე - „რისი ნაწილი გინდა იყო შენ?!“ თუ გინდა ამის ნაწილი იყო, ეს შენს მეტყველებაზე, ენისადმი დამოკიდებულებაზეც უნდა აისახოს! თუ არ გინდა, ესეც აისახება. ამის გარეშე პრეზერვატივზე არ გაჩნდებოდა წარწერები „ვეფხისტყაოსნიდან“.

როგორ უნდა დავიცვათ მშობლიური ენა?

ვფიქრობ, რომ პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ბავშვი ჩამოყალიბდება ეროვნული და ზოგადასაკაცობრიო ინტერესების მატარებელ პიროვნებად, რაც ბევრ საკითხთან ერთად გულისხმობს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ენისა და სხვა ფასეულობების დაცვას. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ქუჩები, რომელიც მოფენილია ირანული, ინგლისური, თურქული და სხვაენოვანი წარწერებით. მარტო მარჯანიშვილის ქუჩა კმარა ამ ყველაფრის შესამჩნევად. ძალიან ხშირად შემიმჩნევია „სააპლიკაციო ფორმაზე“, რომელსაც საჯარო სამსახურები აქვეყნებენ, სიტყვა „დედლაინი“. მე, როგორც მოქალაქეს, მსურს ვისაუბრო ქართულად, მაგრამ რა ვქნა თუ ჩემი გადანყვეტილების გამო მე საზოგადოებაში ინტეგრირებას ვერ მოვახდენ?! რა ვქნა, თუ ეს გახდება ჩემთვის ბარიერი?! ეს რომ ასე არ მოხდეს, საჯარო უწყებებს, ტელევიზიას და ყველას, ვისაც უშუალო კავშირი აქვს საზოგადოებასთან, საკანონმდებლო დონეზე უნდა მოსთხოვონ ენის სინქნისის დაცვა. და ბოლოს, მაინც ვფიქრობ, რომ გასაღები ჩვენ გვიჭირავს ხელში. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დავატანოთ თავს ძალა, რომ არ ავყვეთ მოდას. თუ ამას მოვახერხებთ, მაშინ მოდა აგვყვება ჩვენ და გარკვეული სირთულეებიც დაიძლევა.

შესავალში თვალების დახუჭვა გთხოვთ. ახლა კი გთხოვთ, რომ ყველამ ერთად და ფართოდ გავახილოთ თვალები და დავინახოთ, რომ კმარა! აღარ არის შეცდომების დაშვების დრო! დროა დაედოს ფასი ესოდენ ტანჯვას და დაღვრილ სისხლს! დროა საქართველოც „გადარჩეს, აყვავდეს სამშობლო მიწის სიყვარულითა.... და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“. ისევ უნდა იყოს აღდგომა ქართველის გულში, ისევ უნდა აგვენთოს გული სამშობლოს სიყვარულით. „კაცმან ქართველმან ქართულად ილაპარაკოს და საქართველოს საქართველო ერქვას მარად“. მყინვარიდან მოცქერალ მოხუცს დაენახოს ჩვენში ის ერთი გმირი კი არა, არამედ „სული ერთი უამრავ გმირთა შინა დამტკიცებული“ - იდეალური სურათი გაცნობიერებული კოლექტიური, ერთსულოვანი დამოკიდებულება

ქვეყნისა და ენის ბედისადმი. მოდით, ჩვენ როგორც ქართველის შვილებმა ვინაშით ერის აღდგენა, თუ არ არის რწმენა მაშ „რაისთვისღა ცოცხალ ვართ?!“

ანი ბესიაშვილი

ზმრთის საჯარო სკოლა, ბორის მუნიციპალიტეტი

პირველად იყო სიტყვა და საქმე, შემდეგ შეიქმნა მიწა, მერე პირველი კაცი... ასე იქმნებოდა წესი და რიგი. ქართველი ხალხი, როგორც შეეძლო, ისე ჭედდა საკუთარ ბედს და ასაძირკვლებდა ერის სახეს. ასე იკვეთებოდა და მკვიდრდებოდა ქართული ხასიათის ნიშნები. ჩვენ დედამიწის ერთ-ერთ უძველესი ერი ვართ.

საუკუნეები ფეთქავს ქართულ ხელნაწერებში და მათთან მიახლოება ჰგავს შესვლას ტაძარში, სადაც მაშინვე გოცება გეუფლებათ... ეს რა ხალხი ვყოფილვართ, ღმერთო! იქვე კი სინანული იჩენს თავს - იქნებ გარდასულს გადაჰყვა დიდებაი ყოველი. ამის გაფიქრების საფუძველს მაძლევს დღევანდელი სამეტყველო ქართული. ნათელზე ნათელია, რომ ქართული ენა დღეისათვის სავალალო მდგომარეობაშია, ბარბარიზმების მოძალეა, ჟარგონები, უამრავი შეცდომა - ამის დასტურია. ამიტომაც დღეს ქართულ ენას დაცვა სჭირდება გამართული ქართული ენით საუბრით, ბარბარიზმებზე, კალკებსა და ვულგარიზმებზე უარის თქმით.

ქართული ენა ნელ-ნელა იდევენება ინგლისურენოვანი სიტყვებით. იდევენება ტელეეკრანებიდან, ინტერნეტსივრცეიდან, ჟურნალ - გაზეთებიდან. ქალაქების ქუჩები სავსეა უცხოენოვანი წარწერებით. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - რატომ ამდენი უცხო სიტყვა? ამდენი არასწორად გამოყენებული შესიტყვება? ნუთუ არ მოგვეძებნება უმდიდრეს ქართულ ენაში შესატყვისი ფორმები? ვფიქრობ, ქართულ ენაში ბარბარიზმების, ვულგარიზმების მომძლავრების უმთავრესი მიზეზი ჩვენში ზოგადი განათლების დონის დაცემაა, „ენის სულისა და გულის შეგნების“ (ვაჟა) ნაკლებობაა.

რა თქმა უნდა, ენისათვის სიტყვათა მარაგის გამდიდრება ბუნებრივი პროცესია. მას ვერც მავთულხლართებით შემოსაზღვრავ და ვერც ჩინეთის მსგავს კედელს შემოავლებ. ქართული ენა გამონაკლისი ვერ იქნება, მაგრამ ახალმა სიტყვებმა არსებული კი არ უნდა გამოდევნოს, არამედ ცარიელი ადგილი შეავსოს. ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ წერილში „მცირე შენიშვნა“ აღნიშნავდა: „ენას ფესვები წარსულ დროში აქვს გადგმული, - რაც ხასიათი და ბუნება ისტორიულად მინიჭებია ენას, იგი უნდა შერჩეს სიკვდილამდე. წინ წასვლა ერისა და წარმატება მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალ ცნებათა გამოსახატავად.“

ჩვენ ხომ იმ ერის შვილები ვართ, რა ენაზეც ვლოცულობთ და ვგლოვობთ. თუ ძველი ქართული სოფლის სასაფლაოზე გაივლით, აუცილებლად ურთიერთგამომრიცხავი შეგრძნებები დაგეუფლებათ; სიკვდილის გარდუვალ ძალას აქ ყველა და ყველაფერი გაუსწორებია, ერთი ადლით გაუბოშავს და ერთი საჭრეთლით გამოუკვეთავს დახავსებულ-წარწერებიანი საფლავის ქვები, სადაც მაღალი და დაბალი, ღარიბი თუ მდიდარი ერთ თარაზობია გამოყვანილი. ეს მდუმარე წარწერები კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ მოკვდავთ, რომ საუკუნო სამკვიდრო აუცილებელი ნაწილია დიდი, ცოცხალი მფეთქავი მიწისა, საიდანაც კაცთა ამოძახილი და ჟრჟოლისმომგვრელი ხმა გაისმის: გაუფრთხილდი იმ ენას, რომელიც 26 საუკუნის წინათ შექმნეს სისხლითა და ოფლით მკერდშელეწილმა ქართველებმა, უჩინარმა და უსახელო გმირებმა, სამშობლოს ზღვარდაუდებელი სიყვარულით გულანთებულმა ადამიანებმა.

მტერი და დამპყრობი არასოდეს ელეოდა იბერთ ქვეყანას, გვინგრევდნენ და გვიბილწავდნენ ეკლესია-მონასტრებს, გვიკრძალავდნენ უმშვენიერეს, უძველეს ენაზე მეტყველებას. და აი, გადაიდგა საბედისწერო ნაბიჯი „ერთმორწმუნე“ ჩრდილოეთისკენ და დაიწყო ქართველთა სარწმუნოებისა და ენის არნახული შეურაცხყოფა, დევნა; იბილწებოდა და ნადგურდებოდა ქართული ეკლესია-მონასტრები, კირითა და ბათქაშით იფარებოდა ქართველ ხელოვანთა მიერ შექმნილი უწმინდესი ფრესკები, ჩრდილოეთის გზას გაუყენეს უძვირფასესი ხატები, სარიტუალო ნივთები, უძველესი წიგნები; რწმენაშეგინებულ ხალხს რუსი ეგზარქოსები „მოდღვრავდნენ.“

ჩრდილოელებმა იბერთა გადაშენების უმთავრეს საყრდენს დაუწყეს გამშაგებით შეტევა: ძაღლის ენას უწოდებდნენ უძველესსა და უმშვენიერეს ტკბილხმოვან ენას ქართულს, იკრძალებოდა მასზე ლაპარაკი, სწავლა-განათლება. ამიტომაც გულისტკივილით აღნიშნავდა გრიგოლ ორბელიანი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“. უიმედობამ მოიცვა ერი, მომეტებულად კი XIX საუკუნის ბოლოს გამძაფრდა ვითარება. სწორედ ამ დროს განგებამ ილია მოგვივლინა ქართველ ერსა და ენას დიდ ჭირისუფლად, ღვიძლი სიტყვა უთხრა მან მშობელ ხალხს და ანდერძად დაუტოვა ბრძნულად ნათქვამი: „მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის!“ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: ენა, მამული, სარწმუნოება, თუ ამას არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“. დიდ მამულიშვილს კარგად მოეხსენებოდა, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია და, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის სიტყვათა სესხებას, რაც, თავის მხრივ, ლექსიკურ ფონდს ამდიდრებს კიდევ. ილია ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტავდა: „ნასესხები სიტყვები რომ ამოვიღოთ ენიდან, იგი დაემსგავსება კალიისგან მოჭმულ ყანას“ და რადგან სესხებას თავიდან ვერ ავიცილებთ, ზომიერებაა საჭირო, რამეთუ „ხალხია ენის კანონის დამდეგი“ (ილია). დამპყრობელი კი მოღალატე ქართველების ხელით გაუსწორდა გამოფხიზლებულ ერს წინამურთან.

ავისა და შესაჩვენებელი საქმის მკეთებელს რა გამოლევდა საქართველოში? იქნებ საჭირო იყო წელიწადის რომელიმე თვეს, თუნდაც აპრილს ჩაეცვა მენამულისფერი კაბა და ისე ჩაგვევლო რწმენაშელეწილ ეკლიან ორღობეში, რომ ნამდვილი გამოღვიძების, ნამდვილი აღდგომის ჟამი შეგვეგრძნო? და აი, ეს ჟამიც დადგა... თვე აპრილის 14, წელი 1978. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს კონსტიტუციის 75-ე მუხლთან დაკავშირებით. ისინი არ ეთანხმებოდნენ 75-ე მუხლის ახალ რედაქციას და მოითხოვდნენ ძველი ფორმულირების აღდგენას, სადაც ქართული სახელმწიფო ენად იყო აღიარებული. ეს ეროვნული მოძრაობის აზვირთება იყო, რომელიც ქართველი ახალგაზრდების გამარჯვებით დასრულდა და ამაში ლომის წილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და ლექტორ-მასწავლებლებს მიუძღვით. დღესაც თსუ მიმანია ქართული ენის ერთგულ დარაჯად და მცველად. თუმცა აქამდეც ყოფილა მცდელობა ბარბარიზმების, ჟარგონების, არასწორი ქართული მეტყველებების წინაღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. დღეს კი მეიმედება და მჯერა, ისევ და ისევ ამ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია, მღვრიე შენაკადებისაგან დაიცვას ქართული ენის სინძინდე. უნივერსიტეტში სტუმრობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმ მაგიურ ძალაში, რაც ამ სასწავლებელს გააჩნია, რამეთუ თსუ ყოველთვის იყო მედროშე ეროვნული სულიერებისა.

ვინ? თუ არა ჩვენ - ახალგაზრდები უნდა დავუდგეთ ქართულ ენას ერთგულ დარაჯად, რადგან აქ არის ჩემი დიდგორი და ბასიანი, შამქორი და მარაბდა. ერს ხომ ცინცხალი გონება, რისკიანი და გამბედავი ადამიანები სჭირდება, რომლებიც პირუთვნელად

გამოხატავენ ერის ინტერესებს და იქნებიან უკომპრომისონი იქ, სადაც ერის ღირსების საკითხი წყდება. თუ თითოეულმა ჩვენგანმა არ მოვინდომეთ, გულთან არ მივიტანეთ ენის სატკივარი, არაფერი გამოვა. ამასთან დაკავშირებით უნებურად მახსენდება დავით (დეფი) გოგიბედაშვილის შემდეგი სიტყვები: „ვისაც კი ნახავ, ყველას უთხარი, შუქი დიდი ხნით დაიგვიანებს, არც სამყაროს ხმა, არც საკუთარი, სანამ არ ესმით ადამიანებს.“ ჩვენ საკუთარი უნდა ვარჩიოთ სხვისას, მოვუაროთ, მოვუფრთხილდეთ, მოვეფეროთ, დავიცვათ და უწინდელი მშვენება დავუბრუნოთ მშობლიურ ენას. ვილაპარაკოთ უბრწყინვალესი ქართული ენით, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს ძარღვიანი ქართულით.

მომიტევით და მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ ძვირფასო თანატოლებო, რამეთუ მოგმართავთ ქართლის ერთი პროვინციიდან, რომლის სკოლის სარკმლიდან ყოველდღე გავცქერი რუსეთის ბაზებისაკენ მიმავალ გველივით დაკლაკნილ გზას, გული კი სევდითა და ბრაზით მევსება, რადგან კონკრეტულად არაფრის გაკეთება შემძლია, მაგრამ ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ საფრთხე, რომელიც ქართულ ენას ემუქრება, არა გარეშე დამპყრობლისგან, არამედ ისევ ჩვენგან მოდის. საჭიროა, გავერთიანდეთ ქართული ენის გადასარჩენად და სოციალურ ქსელში მაღალფარდოვანი, თავმოსაწონებელი სიტყვების წერის ნაცვლად ერთმანეთს გავუზიაროთ, რომელი ქართული სიტყვის გადარჩენა შევძელით ბარბარიზმებისა თუ ვულგარიზმებისგან. ქართული ენის სინმინდის დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალია და მისი დაცვისათვის ბრძოლის ველი ჩვენი ყოველდღიური ყოფიერების საზღვრებშია მოქცეული. ჩვენი ვალია, რომ განძი, რომელიც დიდი მსხვერპლისა და ბრძოლის ფასად გადმოგვეცა, ჩვენი უგუნურების გამო არ დაკვარგოთ და გავუფრთხილდეთ, რათა მომავალ თაობებს შეურყვნელად გადავცეთ. ამით დავიცავთ ჩვენი ენის თვითმყოფადობას და ავაცილებთ საფრთხეს, რათა ქართული ენა სხვა ენების მკვდარ დანამატად არ გადაიქცეს.

მარიამ არსენაშვილი

94-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

ენა დედაა ერისა და, თუ დედა არ შეიცანი, მაშინ ვერც შვილს გაუგებ რამეს. ტყუილად ხომ არ უთქვამთ ქართველებს: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. ერის კულტურას რომ ვეზიაროთ, ენის შესწავლით უნდა დავიწყოთ. სხვადასხვა ენა ხომ სხვადასხვა მსოფლმხედველობაა!

ქართველ კაცს მუდამ ესმოდა ენის საკრალური მნიშვნელობა და ამიტომაც უპირველეს მოვალეობად, მამულსა და სარწმუნოებასთან ერთად, ენისთვის თავის განირვას მიიჩნევდა. ბრძოლის ასპარეზის სიმცირესაც ხომ არასდროს უჩიოდა. ბედკრულ საქართველოს არ აკლდა მტერი და დამპყრობელი - არც ურჯულო, არც ერთმორწმუნე. მაგრამ, მიუხედავად მათი ვერაგობისა, მიუხედავად მათი დაუოკებელი სურვილისა - სამუდამოდ გაექროთ ჩვენი სახსენებელი, ქართველთა სულის შეუპოვრობამ, ქედმოუდრეკლობამ და გენის დაუმორჩილებლობამ თავისი გაიტანა - მრავალი სიცოცხლისა და ზღვა სისხლის ფასად შეინარჩუნა მამულიც, ენაც, სარწმუნოებაც და სასოებით გადმოგვცა მომავალ თაობებს.

დღეს კი რას ვაკეთებთ ქართული ენისთვის? როგორ ვზრუნავთ მასზე? რა გზით ვცდილობთ მის დაცვას? თუ XIX-XX საუკუნეებში რუსიციზმები და, ზოგადად, რუსული გვიტყვედა, XXI საუკუნეში ჩვენს მეტყველებაში ინგლისური სიტყვების ნამდვილი კორიანტელია. გამოდის, „ვაის“ გაყრილნი, „უის“ შევეყარეთ. რატომ? ნუთუ ისეთი მდიდარი ენით, როგორიც ქართულია, ასე გაგვიჭირდა აზრის გამოხატვა?! იქნებ, პრობლემა ჩვენშია და მწირ ლექსიკურ მარაგს ვწირავთ მსხვერპლად მშობლიური ენის სისპეტაკეს. ან, იქნებ, ამით ჩვენი თანამედროვეობის ხაზგასმა გვსურს, თუმცა იმას კი ვერ ვხვდებით, რომ ასეთი საქციელით შეურაცხველეთ და ვრყვნით ქართულს, ენას, რომელიც „უფლის კურთხევით, ჩვენს წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარია“.

მართალი უთქვამს ილიას: „ხალხია ენის კანონის დამდები“. ისევ ჩვენ, ქართველები, არ ვაღიარებთ კუთვნილ სიმდიდრეს, რომელსაც არაერთი უცხოელი ენათმეცნიერი აღუფრთოვანებია. არ ვუფრთხილდებით ქართულს და შანსს არ ვუშვებთ ხელიდან, რომ როგორმე გადავაგვაროთ იგი. თითქოს ვერ ვახერხებთ ჩვენს ენამდე ამაღლებას, ამიტომაც ვამდაბლებთ თავად მას. რა მიზეზით? სად გაქრა ის მონივნება და პატივისცემა, რომლითაც მშობლიური ენის მიმართ ვიყავით განმსჭვალულნი? ნუთუ ასე რთულია ის ჩვენთვის, რომ ვაპრიმიტიულებთ და სხვა ენით ვავსებთ, ან, იქნებ, მოძველდა?! არც ერთი და არც მეორე! ქართველი კაცი ძველი ტექსტების ნახევარზე მეტს დაუბრკოლებლად იგებს, სპეციალური ცოდნის გარეშე გამოაქვს აზრი ქართულად თარგმნილი ოთხთავიდან, მამათა ცხოვრებიდან, რასაც ვერ ვიტყვით ძველი სომხურის, სლავურის, ძველი ინგლისურის მკითხველ სომეხზე, რუსზე, ინგლისელზე. ასე რომ, „ძველი ქართული ენა“ ჭეშმარიტად პირობითი ცნებაა. მას არც არასდროს მოუჭამია თავისი დრო და არც მომავალში დაკარგავს თვითმყოფადობას, თუ სათანადოდ მოვუფრთხილდებით.

ზოგადად, სიტყვათა სესხება ენის გამდიდრების, გამრავალფეროვნების ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეს პროცესი გონივრული, როცა ახალი სიტყვების შემოღება არ ხდება ენაში უკვე არსებულ სიტყვათა გაძველების ხარჯზე. დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს საჭირობოროტო საკითხი ძალუმად არის შემოჭრილი ქართულ რეალობაში, ვინაიდან არა მარტო საზოგადოება, არამედ ტელევიზია, პრესა და სახელმწიფო დაწესებულებებიც კი სრულიად უსაფუძვლოდ ამკვიდრებენ მეტყველებაში

უცხო ტერმინოლოგიას. ეს კი, სავარაუდოდ, ჩვენში ზოგადი განათლების დონის მკვეთრი დაცემის ბრალია. თუკი XII საუკუნეში რუსთაველმა იკმარა ქართული უდიდესი სარაინდო-სამიჯნურო პოემის შესაქმნელად, რომელიც დღემდე ქართული სალიტერატურო ხელოვნების მწვერვალია, ახალი ქართული განა რა თხზულებით ცდილობს ამ სიმალლის დაძლევას?!

და მაინც, რატომ უნდა დავიცვათ ქართული ენა? იმიტომ რომ, თუ ერთ ჭკვიან კაცს დავესხებებით, ესაა „მაღალი ვარჯი ჯიჰიანი და მალლოვანი შემეცნების ხისა. იგი ზეალსწრაფების ენაა და მასში უდიდესი აზრია დავანებული“; იმიტომ რომ, მსოფლიოში ექვსი ათასი ენა არსებობს, დამწერლობა კი - მხოლოდ თოთხმეტი, და მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი სწორედ ქართულ ანბანს უკავია; იმიტომ რომ, ენა ერის სულია, უსულო ერთი ადამიანიც არ ვარგა, მთელ ერს კი ნამდვილად გაუჭირდება „სხვა ერთა შორის ერად დგომა“; იმიტომ რომ, ქართულად ნამღერმა „იავნანამ“ აღზარდა „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“ და კვლავ უნდა აღზარდოს ქვეყნის საამაყო შვილები; იმიტომ რომ, ქართული ენა „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს... ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაა“; იმიტომ რომ, „მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა და გრძნობისა, სხვა ენა აქ უძლურია. მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ“; იმიტომ რომ, ქართული ენა ზღვასავით უღვევი, მყინვარივით გულზვიადი და თასმასავით მოქნილია.

„ენაც წაგვართვეს და რჯულიც, ნათელი რამღა გვფინოსო?“ - ბრძანებს აკაკი. მართლაც, ქართველებისთვის წმინდა და შეურყვნილი ენა წარმოადგენდა ნათელს, უენობა კი - უკუნეთს, ბნელს. გრიგოლ ორბელიანიც ხომ ბრძანებს:

„რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“.

ენა - ესაა ერის არსებობისა და თვითმყოფადობის საზომი. რა დიდიც უნდა იყოს ტერიტორია, თუ მასზე მცხოვრები ხალხი ერთ ენაზე არ ილაპარაკებს, ერი ვერ იარსებებს, გადაშენდება.

და კიდევ ერთხელ, რატომ უნდა დავიცვათ ქართული ენა? იმიტომ, რომ იმქვეყნად ჩვენს წინაპრებს თამამად ჩავხედოთ თვალებში და ვუთხრათ, რომ პირნათლად ვაგრძელებდით მათ დიად საქმეს, სიცოცხლის ბოლომდე ვიცავდით ენას, რომელიც „ჩვენი სუნთქვის დიდი ალაში, ჩვენთა ჭირთა ტკბილი მალამოა“; ენას, რომელმაც „ჩაკრულო“ იმღერა და გალაქტიკათა შორის დღემდე ამღერებს; ენას, რომელმაც ხაზგასმით თქვა თავისი სათქმელი „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ შექმნით.

„ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო.
ხან- ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის...
იბერის ენავ, ენავ თამარის...“

შიო თუხარელი

პირველი საჯარო სკოლა, ე. ძხმთა

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, - წერდა X საუკუნის ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე. და მართლაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა სახელმწიფოებრივ ერთობას საფუძველი ქართულმა ენამ ჩაუყარა. ვინც შეიგრძნო და შეიცნო კიდევ ძალა და მნიშვნელობა მშობლიური ენისა, მას ასეთი გულმხურვალე სიტყვები უძღვნა:

„ქართული მართო ენაა?!

-ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია!

ბედისწერაა!

ზღვა როა!

იმოდენაა!“ (მუხრან მაჭავარიანი).

მეამაყება, რომ ქართული მსოფლიოში არსებულ ათასობით ენათა შორის გამორჩეულია თვითმყოფადობითა და ორიგინალურობით. ის ცალკე ქართველურ ენათა (ქართული, სვანური, მეგრულ-ლაზური) ჯგუფს ქმნის და მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. იმ ენათაგან, რომლებთანაც ქართულის გენეზისური კავშირის შესახებ საუბრობენ მეცნიერები (ურარტული, ჰურიტული, ხეთური, ელამური, შუმერული, პელაზგური - წინააზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენები), დღეს ყველა მკვდარია.

მინდა წარმოვიდგინო, საუკუნეთა რა სიღრმიდან მოდის ქართული ენა; რა გზა გამოიარა ჩემს წინაპრებთან ერთად!.. რამ გააძღვებინა? როგორ მოიტანა თავი დღემდე? რამ იხსნა?.. - პასუხი ერთია: იმან, რომ მამა-პაპას კარგად ესმოდა, თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად მშობლიური ენა უნდა დაეცვა. მისი დათმობა, ეროვნული მეობის, ქართველობის დაკარგვას ნიშნავდა. ჰოდა, უფროსილდებოდა, ხელიხელ აგოგმანებდა, ამდიდრებდა, სულს უბერავდა... ქმნიდა ეროვნულ ლიტერატურას: ბეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მწერლობის იგავმიუწვდომელ ქმნილებებს, თითქმის 15-საუკუნე-ნახევარია გასული „შუშანიკის წამების“ დაწერიდან. ქართულ ენაზეა შექმნილი უმდიდრესი ჰაგიოგრაფია თუ ჰიმნოგრაფია, პეტრე იბერიისა თუ იოანე პეტრიწის ფილოსოფიური ნაშრომები, „ვეფხისტყაოსანი“ - ჩვენი ერის გენიის განსხეულება, ევროპული რენესანსისა და დემოკრატიული იდეების პირველი ნიმუში! გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, გალაკტიონის, მე-20 და 21-ე საუკუნის უდიდეს მწერალთა და პოეტთა შემოქმედება. მე და ჩემი თაობა ქართული ენის წყალობით ვუკავშირდებით ჩვენს წინაპრებს, მათი ნაფიქრის, ნააზრევის, ნაგრძნობის თანაზიარი ვხდებით. ვგრძნობთ, რომ ქართულ ენაშია დამარხული (დაცული) ჩვენი ხალხის ბნეკეთილობა, მისი მებრძოლი ბუნება.

მესმის, რომ სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. მაგრამ დღესდღეობით ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში მოჭარბებული ბარბარიზმების გამო ქართული ენა არასასიამოვნო მოსასმენი გახდა. ჯერ კიდევ გასულ

საუკუნეში რუსული სიტყვები გამოერია ქართულს: „პოლი“, „სტოლი“, „კრანი“, „სპიჩკა“, „კუხნა“, „ვანა“... ეს მემკვიდრეობა გვერგო და ზოგ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი ვერც კი ხვდება, რომ არაქართულ სიტყვას იყენებს ლაპარაკის დროს. მრავალწლიანმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ დაღი დაასვა ყველაფერს, მათ შორის ქართულ ენასაც. ჩვენი მშობლების თაობა ვერ გაუფრთხილდა წინაპრების მიერ ნალოლიავენსა და ჩვენამდე რის ვაი-ვაგლახით მოტანილს. ხშირად გამიგია მათგან ფრაზები რუსულ ენაზე, ქართულში ისე ურევენ რუსულ სიტყვებს, თითქოს მშობლიური იყოს. ყურთასმენაც შეგუებულია დამკვიდრებულ ბარბარიზმებს და ველარც ვამჩნევთ. დღეს კი ჩვენს თაობაში ინგლისურმა გაიდგა ფესვები: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“, უკულმა გავიგეთ, მივბაძეთ და ვაჯობეთ კიდევ ჩვენი მამების თაობას. თითქოს აკლდა ქართულ ენას რუსული სიტყვებით დაბინძურება და ინგლისურს დაველოცეთ გზა ჩვენი მშობლიური ენისაკენ. ისიც ნელ-ნელა გველემბავით გვეპარება, თვითონ არ ჩანს, მაგრამ მისი არსებობა ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა მაღაზიის აბრებსა თუ სარეკლამო დაფებზე. ახლა თითქოსდა მოდაშია ინგლისური სიტყვების კალკირება. ქუჩაში დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს აფიშებზე გადიდებული ასოებით გამოფენილ ბარბარიზმებს. ინგლისური აპოსტროფის დამკვიდრებაც კი მოინდომა მავანმა და მაღაზიის აბრაზე თამამად მიანერა „ბესტ მარკ'ტ.“ სასაცილოა... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

სახლში მოსულს კი ხშირად მსმენია სატელევიზიო გადაცემებიდან ვილაცის ქება- დიდება მისი „კრეატიული“, იმავე შემოქმედებითი ნამუშევრის გამო; ვილაც კი შთაგონებას „ინსპირაციას“ უწოდებს; თანდათანობით მკვიდრდება და შინაურდება ქართულ ენაში უცხო სიტყვები: „სიკრიტ სანტა“, „ფეისკონტროლი“, „შოპინგი“, „ფეიბოქსი“, „სქულქარდი“, „სეილი“ და ა.შ.

როგორც უკვე ვთქვი, წინა თაობამ რუსული დაამკვიდრა, ჩვენ კი ინგლისურს ვამკვიდრებთ მშობლიურ ენაში. ჩვენი თაობა ამას ყურადღებასაც არ აქცევს, გვგონია, რომ მოდური იქნება, რაც უფრო მეტ უცხო სიტყვას გამოვიყენებთ საუბრის დროს. იმის ნაცვლად, რომ განგაშის ზარი შემოვკრათ, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია...“, აღარ ვაკვირდებით, ყურადღებას აღარ ვაქცევთ, როგორ გაიდგა ფესვები ქართულ ენაში როგორც რუსულმა, ასევე ინგლისურმა ტერმინებმა. ჩვენი ბრალია, რომ დამახინჯების პირას მივიყვანეთ მშობლიური ენა. დროულად უნდა გამოვფხიზლდეთ და პატივი ვცეთ ქართულს. დავივიწყოთ ბარბარიზმები მშობლიურ ენაზე საუბრისას. დიდი ილიასათვის „ენა, მამული, სარწმუნოება“ განუყოფელი იყო ერთმანეთისგან. დასაფიქრებელი უნდა იყოს ჩვენთვისაც ის ფაქტი, რომ ერთ-ერთის შერყვნით სამივეს საფრთხეში ვაგდებთ. გათვითცნობიერებული უნდა გვქონდეს, რომ ენის სინძინდის დაუცველობით საქართველოს მტრებად ვიქცევით: „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“.

ჩემს სათქმელს დავამთავრებ ერთი ქართველი კლასიკოსის სიტყვებით:

„ენა ქართული - მყინვარით გულზვიადი;

ენა ქართული - ზღვასავით ულავი;

ენა ქართული - თასმასავით მოქნილი;

ენა ქართული - ღმერთების ენა!“

ნიმე დოღუაშვილი

ზერის საზარო სკოლა, ბერის მონიციპალიტეტი

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერის დაეცეს..
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..“

იქნებ გრიგოლ ორბელიანის ამ უკვდავ სტრიქონებში უნდა ვეძიოთ პასუხი კითხვაზე, რატომ უნდა მოვუფროთხილდეთ მშობლიურ ენას?!

ენის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის განვითარებასა თუ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტია. შემთხვევითი არ არის ის, რომ საუკუნეების განმავლობაში უმრავლესი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მათ შორის XIX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მამოძრავებელ ძალას, სწორედაც რომ მშობლიური ენის დაცვა და მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება წარმოადგენდა. ჩვენი წინაპრები დროულად მიხვდნენ იმას, რომ ენა ერთ-ერთი იყო ღვთაებრივ საუნჯეთაგან, რომ იგი იყო განძი, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებს“. - ეს სტრიქონები მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის, ეპოქას, როდესაც ქართული ენა რუსიფიკაციის უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეპოქას, როდესაც ქართული ენა ქართველებმავე „ბძანებით დაჰსთმეს აღმოსაკვეთად“. თუმცა, საბედნიეროდ, ენის სინამდის სადარაჯოზე თერგდალეულთა თაობა დადგა, რომელმაც გმობილი, ლტოლვილი, ქართული ენა საკუთარ ქოხში შეიფარა, მამათა თაობასაც კი დაუპირისპირდა და მომხდურნი მისი სიკვდილით არ გაახარა.

მშობლიური ენისთვის ბრძოლა ყოველთვის იყო პრიორიტეტი ქართველთათვის, ვინაიდან მათ წინ უძღოდა კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: “მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსა“.

თუმცა სიტყვა-სიტყვაა, საქმე კი სხვაა... მართლაც არაერთხელ დაგვჭირდა ქართველებს აღნიშნულის საქმით დადასტურება! არაერთხელ დაგვიდგა ჟამი, როდესაც უნდა დაგვეცვა საკუთარი ენის სიწმინდე!

1978 წლის 14 აპრილი ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი თარიღია. 1978 წლის 14 აპრილს ქართველებმა საბჭოთა ეპოქისთვის უცხო, გრანდიოზული ძალით, არა მხოლოდ მშობლიური ენას შეუნარჩუნეს სტატუსი, არამედ საქართველოს თავიდან ააცილეს უდიდესი საფრთხე, რაც ფაქტობრივად საქართველოს რუსეთთან ასიმილაციას ითვალისწინებდა. მათ საქართველოს ახალი სიცოცხლე აჩუქეს და მოგვიანებით,

დედაენას ძეგლიც დაუდგეს. ჩვენ კი ენის დასაცავად მიზეზები გვჭირდება და ვსვამთ კითხვას თუ რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ენას?!

ხშირად ისმის ფრაზა, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება, ვითარდება და ივსება. თუმცა, სამწუხაროდ, ეს შევსება ძირითადად ბარბარიზმების ხარჯზე ხდება და ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს ვთვლით ენის „განვითარების“ მთავარ კომპონენტად. არგუმენტებად მოგვყავს კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზები: გლობალიზაცია, ოცდამეერთე საუკუნე და მრავალი სხვა, თუმცა გვავიწყდება, რომ მშობლიური ენა გაცილებით მაღლამდგომი ფასეულებაა, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის გლობალიზაციაზე არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია, მეტი თუ არა. ბარბარიზმები კი სხვა არაფერია, თუ არა ენის გამიზნული ცვლილების საშუალება და, ჩემი ღრმა რწმენით, ისინი არა მხოლოდ საფრთხეს უქმნიან ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, არამედ ენის მიზნობრივი დამახინჯების და განადგურების ტოლფასიცაა. ჯერ იყო და რუსული ენიდან შემოჭრილმა სიტყვებმა აგვიოხრეს ენა, ბოლო პერიოდში კი ინგლისური ენაც არ გვაკლებს ახალ-ახალ სიტყვებს „მარაგის გასამდიდრებლად“. თუმცა განა კი ვინმე გვამალებს? ვაი, რომ არა! ვაი, რომ ჩვენზე ენას ჩვენზე ნებით ვთმობთ...

რა გინდა რომ აქ არ იყოს, –

ენა იტყვის რას!

სიტყვა გინდა?! –

მარტო წვიმას

აქვს სახელი ცხრა.

მე შენ გეტყვი –

არ გეყოფა სიტყვის მარაგი...

არა!

სხვისი მისაბამი

რა მჭირს, –

თვარა, – კი!

მუხრან მაჭავარიანის არ იყოს, სხვისი მისაბამი რა გვჭირს!

იაკობ გოგებაშვილის დახასიათებით, „ქართული ენა არის უმაღლესი ხარისხის ორგანიზაცია... იგი არის ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა... განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი, როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკული ფორმებით“.

ნიკო მარი ქართულ ენას „მსოფლიო დონის“ ენად განიხილავდა და ამბობდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად

გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა”.

იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას - ასომთავრული, მხედრული და ნუსხური დამწერლობის თანაარსებობის უწყვეტ ტრადიციას. ასეთი სრულყოფილი საყრდენი კედელი გვაქვს ქართველებს ენის სახით, თუმცა ჩვენ ჩვენივე კედელს, რომელსაც ვეყრდნობით ყოველდღიურად აგურებს ვაცლით... ამას ვაკეთებთ ყოველი ჩვენგანი გაუცნობიერებლად ან შეიძლება გამიზნულადაც კი.

ცალკე საკითხია გარე რეკლამები და ის მართლაც, რომ სამწუხარო რეალობა, რომელსაც საქართველოს ყველა ქალაქში ვხვდებით: უცხოური ნარწერები ქუჩებში, რომელთა უმრავლესობაც არა მხოლოდ ჩაგრავს და ფეხქვეშ თელავს მშობლიურ ენაზე შესრულებულ ნარწერებს, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით კანონდარღვევაა. ეს ხომ ჩვენი ახირება არაა! ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უპირველესად სახელმწიფო ენას ანიჭებენ უპირატესობას, მასზე მეტყველების აუცილებლობას უყენებენ იქ სამოსახლოდ ჩასულთ, მისით ნათლავენ ყველანი დაწესებულებას, მის სულ მცირედ აუგად ხსენებას, უდიერად მოპყრობას არავის აპატიებენ. ჩვენში კი რატომღაც ბევრმა დაივიწყა ოდითგან ჭკვიანურად ნათქვამი: „სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო“.

ენას ებრძვიან ყველა მხრიდან, ებრძვიან ადამიანები, გარე რეკლამები, მედია საშუალებები. ის ასეთ საფრთხეში არასდროს ყოფილა. ჩვენმა ენამ გაუძლო საუკუნეებს, რომელ დამპყრობელს არ უცდია მისი ამოძირკვა, მაგრამ ვერავინ ვერ შეძლო, იმიტომ რომ არა მხოლოდ ენა ამაგრებს სახელმწიფოს და ხალხს, არამედ თავის მხრივ ხალხიც ამაგრებს მას. დღეს კი ვინ უნდა გაამაგროს ის...

რატომ უნდა მოვუფრთხილდე ქართულ ენას? იქნებ იმიტომ, რომ ეს ჩვენი ვალია, იქნებ იმიტომ რომ უკანასკნელნი ვართ ვისაც ამის გაკეთება შეგვიძლია, იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი დრო მოვიდა!

დიახ! ახლა ჩვენი დროა! ახლა ჩვენ უნდა ვივაჟკაცოთ და წინაპართა ანდერძი აღვასრულოთ! მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცნენ თერგდალეულები ან 1978 წელს მთელი საქართველო! ახლა ჩვენ უნდა შევიფართოთ ენა, ჩვენ უნდა ვუპატრონოთ და განვწმინდოთ „მისი ბრწყინვალეობა“! ახლა ჩვენი ვალია, ნგრევის მაგივრად თავიდან ავადორძინოთ ჩვენი ენა ქართული. ვინ თუ არა ჩვენ?!

6060 თოდუა

24-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

ჩვენ, ქართველები, მშობლიურ ენას „დედაენას“ ვუნოდებთ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ენა თითოეული ჩვენგანისათვის დედასავით ძვირფასი, ერთადერთი და მნიშვნელოვანია. „მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანი გულმხურვალედ. სხვა ენა აქ უძლურია. მხოლოდ დედა ენა არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი არიან ენანი მესხიერებისა“ - წერს იაკობ გოგებაშვილი. ამ სიტყვებით იგი ხაზს უსვამს მშობლიური ენის მნიშვნელობასა და უპირატესობას სხვა ენათა შორის. რაც შეეხება ქართულ ენას, იგი ყველა ქართველის მშობლიური ენაა, რასაც ადასტურებს ირაკლი აბაშიძის ლექსი:

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო...“

საქართველო მრავალჭირნახული ქვეყანაა. მის დასაპყრობად იბრძოდნენ არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები თუ რუსები. ეს შემოსევები გავლენას ახდენდა როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე, ასევე მშობლიური ენის შენარჩუნებაზე. დროთა განმავლობაში ჩვენში შემოდიოდა ახალი სიტყვები, მკვიდრდებოდა და ფეხს იკიდებდა, თანაც, ისე, რომ დღეისათვის მხოლოდ ცოტამ თუ იცის მრავალი მათგანის ეტიმოლოგია.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება. ეს ბუნებრივი პროცესია. ენა რომ განვითარდეს და მკვდარ ენად არ იქცეს, თუნდაც, ისე, როგორც ეს დღეს ლათინურია, საჭიროა მისი გამდიდრება, საერთაშორისო სიტყვების შემოტანა, თუმცა, ეს უკანასკნელი მისი იდენტობის დაკარგვას როდი გულისხმობს.

დღეისათვის არა თუ სამეგობრო წრეში, არამედ სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო გადაცემებში ხშირად ისმის ჟურნალისტების მიერ წარმოთქმული ბარბარიზმები. სიმართლე გითხრათ, მოსმენისთანავე შემისწორებია ესა თუ ის სიტყვა და გამიკიცხავს კიდევ ჟურნალისტი. თუმცა, რატომ? რას გულისხმობს ბარბარიზმის ცნება?

ბარბარიზმი არის უცხო ენიდან შემოსული, მშობლიური ენის ბუნებისათვის შეუფერებელი სიტყვა ან ფრაზა, რომლის შესატყვისიც ქართულ ენაში მოიძებნება. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ უნდა ვთქვათ „დავალაიქე“, „დავასეივე“, „დავაკონექტე“, „დავაშეარე“, როდესაც უფრო კარგად ჟღერს სიტყვები: „მოვინონე“, „შევინახე“, „დავაკავშირე“, „გავაზიარე“. გარდა ინგლისური ენიდან შემოტანილი ბარბარიზმებისა, ჩვენში უხვად გამოიყენება რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმებიც, როგორიცაა: „სტოლი“, „პადრუგა“, „ბრატი“, „პოლი“, „შპილკა“, „რუჩკა“, „ბარხატი“, „ფილოკა“, „პივა“ და ა.შ. თუმცა, დღეისათვის უფრო მეტად აქტუალური და გავრცელებულია პირველი. ეს კი დრომ მოიტანა. თუკი 90-იანელი გეტყვოდათ, რომ „პადრუგებთან ერთად პრაზდნიკი აღნიშნა“, დღეს შეიძლება გავიგოთ ასეთი ფრაზა: „ფრენდებთან ერთად ფართიზე ვიყავი“.

არადა რა ღრმაშინაარსიანია ქართული სიტყვები. ქართველმა კაცმა ცოლ-ქმარს „მეუღლეები“ უწოდა. ამ სიტყვის ძირს კი „უღელი“ - გამწვევი ძალის შესაბამელი იარაღი წარმოადგენს. ახლა დავუკვირდეთ, რა საოცარი სიტყვაა „თავისუფლება“, რომლის ძირსაც

უფალი წარმოადგენს, ანუ თუ ადამიანი თავისუფალია, თავად განკარგავს საკუთარ თავს, თავადაა საკუთარი თავის უფალი.

თუ ქართული ენა დღემდე მოვიდა, გაუძლო რუსიფიკაციის პროცესს, საბჭოთა სისტემის ზეგავლენას და მისი შენარჩუნების მიზნით, 1978 წლის 14 აპრილის საპროტესტო გამოსვლების მეშვეობით, ქართველებმა დედაენა ისევ შევინარჩუნეთ, რატომ უნდა შევბღალოთ და დავამახინჯოთ იგი ბარბარიზმებით? ჯერ კიდევ X საუკუნის ჰაგიოგრაფი გიორგი მერჩულე წერს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღირაცხების“. საგულისხმოა, რომ იმ დროის საქართველოში ღვთისმსახურება, სწორედ, ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან ქართველმა საკუთარი ენის ფასი კარგად იცოდა.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში, როცა საკმაოდ აქტუალურად განიხილება იდეა „ერთიანი მსოფლიო საზღვრების გარეშე“, საჭიროა ვიზრუნოთ ქართული ენის დაცვასა და მოფრთხილებაზე. აბა, წარმოიდგინეთ ტრიალი მინდორი, ნაირფერი ყვავილებით, სასიამოვნო სურნელით, ლამაზი ფერებით, სადაც წითელს ყვითელი ენაცვლება, ყვითელს - ლურჯი, ლურჯს - მწვანე. ახლა კი წარმოიდგინეთ იგივე მინდორი, ოღონდ მხოლოდ ერთი ფერის - წითელი ან ლურჯი ფერის ყვავილებით. ყოველივე ეს შეიძლება გავაიგივოთ გლობალიზაციასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ მსოფლიო გარდაიქმნება ერთიან სივრცედ, სადაც შთაინთქმება ჩვენი, 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი, ძვირფასი და ხელიხელ საგოგმანებელი ქართულიც.

ილია ჭავჭავაძის უკვდავი ფრაზა „ენა, მამული, სარწმუნოება“, სწორედაც რომ გულის ფიცარზეა დასაწერი. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, 15 წლის თინეიჯერს და წარმატებულ მოსწავლეს, მსურს უბრუნველყოფილი მომავლის შექმნა, საზღვარგარეთ სწავლა და ა.შ. ჩემი მიზნების მიღწევაში კი უცხოური ენების შესწავლა, რა თქმა უნდა, დამეხმარება. ნათქვამია: „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“, თუმცა, არ ვაპირებ მშობლიური ენის დავინწყებას, გონებიდან, მეხსიერებიდან მის ამოშლას. სადაც კი წავალ, გულით ვატარებ მის სიყვარულს, ვინაიდან მწამს, რომ „ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი სანყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნაძი.“ ვფიქრობ, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ს ეს სიტყვები, მართლაც, რომ ამაღელვებელი და უძვირფასესია, ბრწყინვალე აღქმაა იმისა, რაც რეალურად გვაქვს.

ნათქვამია, „მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“. ამიტომ თუ ქართველი გვქვია, უნდა ვიზრუნოთ მშობლიურ ენაზე, შევეცადოთ მის განვითარებას, მაგრამ, ცხადია, არა მისი იდენტობის დაკარგვის ხარჯზე. აუცილებელია, რომ ქართული ენით დავაინტერესოთ ახალი თაობები, გავუღვივოთ ბავშვებს დედა ენის სიყვარული, გავმიჯნოთ იგი უცხო ენებისაგან. ამის მაგალითად კი ყველაზე მეტად გამოგვადგება ილია ჭავჭავაძის საქმე, ადამიანისა, რომელმაც, მთელი რიგი წინააღმდეგობების მიუხედავად, ფეხი აუწყო იმჟამინდელი ცხოვრების დინებას, ძველის შენარჩუნების და ახალთან დაკავშირების მეშვეობით დაგვიტოვა ის, რაც დღეს ესოდენ მნიშვნელოვანია.

ვფიქრობ, კითხვას, თუ რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას, მუხრან მაჭავარიანის ეს ლექსი საბოლოო პასუხს გასცემს.

„ქართული მართო ენაა?!-

ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია!

ბედისწერაა!

ზღვა როა!

იმოდენაა!“

მიხეილ გიორგაძე

სოფელ კონხარის საჯარო სკოლა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“. ეს სიტყვები, რომლებიც 1860 წელს წარმოთქვა სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ თავის პირველ კრიტიკულ სტატიაში, დღემდე საპროგრამო სიტყვებად რჩება ერისთვის. ყველა, ვინც თავს ქვეყნის მამულიშვილად თვლის, უპირველესად, თავის მშობლიურ ენას ეტრფის. მაგალითად, პოეტი ირაკლი აბაშიძე ლექსში „ხმა კატამონთან“ ენას იმ ერთადერთ საუნჯეს უწოდებს, რომელსაც ვერასდროს ვერ დათმობს და შეეღვავა:

„ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ...“

ასევე მახსენდება მუხრან მაჭავარიანის ლექსი „ენა ქართული“, სადაც პოეტი ქართულ ენას აიგივებს რწმენასთან და ღმერთთან, რადგან მისი თქმით ქართული მართო ენა არ არის, ის რაღაც უფრო მეტია.

ქართული ენა გვინახავს ისეთ კულტურულ ძეგლებს, რომლებიც მსოფლიოს მიერაა აღიარებული. ერთ-ერთია XII საუკუნის ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი.“ ასევე საყურადღებოა ქართველი მწერლების და პოეტების ღვაწლი, რომლებმაც შეგვინარჩუნეს ქართული ენის თვითმყოფადობა. ამ ადამიანებს შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი და სხვა. ისინი ებრძოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ქართულ ენას ამახინჯებდნენ. ისტორიული დაპირისპირება ძველ და ახალ თაობებს შორის მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში ცნობილია „თაობათა ბრძოლის“ სახელწოდებით, რომელიც პირველად ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო 1861-1863 წლებში და უმთავრესად ლიტერატურის საზოგადოებრივი დანიშნულების, ენისა და სტილის საკითხებს მოიცავდა. ეს ბრძოლა ახალი თაობის გამარჯვებით დამთავრდა, ვინაიდან ისინი პროგრესისა და განვითარებისათვის იბრძოდნენ და სიმართლევც მათ მხარეზე იყო.

ბევრი მოღვაწე შეგვიძლია დავასახელოთ, რომელთა ღვაწლი ერის და ენის წინაშე განუზომელია. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, ჩემი აზრით, დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების ფუძემდებელი. ა. შანიძესთან ერთად უნდა გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილი, რადგან მან შექმნა „დედაენის“ სახელმძღვანელო, რომლითაც უამრავი თაობა გაიზარდა. ქართულ ენას თავისი არსებობის პერიოდში ბევრი სირთულე შეხვდა, თუმცა ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს მისი შენარჩუნება. ჩემი აზრით, ჩვენც წინაპრებს უნდა მივბაძოთ და არ შევწყვიტოთ ქართული ენის მოვლა-პატრონობა, რათა მომავალ თაობას ენა და კულტურული მემკვიდრეობა გადავცეთ დაცული და სრულყოფილი.

ქართულ ენაზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც საქართველო რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა. ჯერ რუსეთის იმპერიამ, შემდეგ კი საბჭოთა რეჟიმი საქართველოს წინააღმდეგ იდეოლოგიურად იბრძოდა და ატარებდა „რუსიფიკაციის“ პოლიტიკას, ცდილობდა ქართული დამწერლობის, კულტურისა და პოლიტიკის გაქრობას,

თუმცა ამ პერიოდშიც აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ენის შენარჩუნებას. ერთ-ერთი ასეთი საზოგადო მოღვაწე იყო სოლომონ დოდაშვილი. მან დააარსა გაზეთი „თბილისის უწყებანი“, რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები ქართული ენისა და ლიტერატურის, კულტურის და საქართველოს ისტორიის შესახებ. რუსეთის იდეოლოგიური ბრძოლის გამოხატულება იყო ისიც, რომ სასწავლებლებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (შემოკლებით სსრკ), რომელიც 1922 წელს დააარსდა, აგრძელებდა მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას და ფართო იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდა ქართული ენის დასაკნინებლად. ამ ურთულეს ეპოქაშიც აკაკი შანიძისა და ენისათვის თუ ერისათვის თავგანწირული ადამიანების ძალისხმევით შევინარჩუნეთ მშობლიური ენა.

დღეს კი ქართულ ენაში ინგლისური ენიდან შემოედინება სიტყვები. სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენაზე მეტი ყურადღება ინგლისურს ეთმობა. ამიტომაცაა, რომ ახალმა თაობამ ინგლისური ენა უკეთ იცის, ვიდრე ქართული. თუ გვინდა შევინარჩუნოთ ეროვნული თვითმყოფადობა და არ მოვექცეთ რომელიმე ქვეყნის გავლენის ქვეშ, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქართული ენის, ჩვენი დედაენის დაცვა და გაფრთხილება. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ქართული ენის წინ წამოწევა, რათა მოსწავლისთვის ქართული ენა და ლიტერატურა გახდეს პრიორიტეტული საგანი. მე მინახავს სოციალურ ქსელში აქტივობები, რომლებიც ემსახურებოდა მომხმარებლის ინფორმირებას, რომელი სიტყვა არის ბარბარიზმი და რომელი არა, რომელია სწორი ქართული ფორმა და რომელი არა. ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა ჩატარდეს, რათა შევძლოთ დამახინჯებული ქართული მეტყველების გამოსწორება და გაუმჯობესება.

ბელა ადამიანი

შემოქმედის საჯარო სკოლა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ადამიანი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან. საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა არის ენა. ენა საზოგადოებასთან, მთლიანად ერთან დაკავშირებული სისტემაა, რომელიც სულიერად და კულტურულად წარმოადგენს მოცემული ერის ერთგვარ საყრდენს, სისტემას და აერთიანებს ერს საერთო მსოფლმხედველობის გარშემო. ადამიანისა და საზოგადოების ცნობიერება სწორედ მის ენაში დევს. იგი ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ერის ისტორიასა და მისი განვითარების თავისებურებებთან. ამას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ისტორიის, კულტურისა და თვითშეგნების მქონე ერებს განსხვავებული ენები, ანუ სისტემები აქვთ. ზოგადად ერი არის კულტურულ-სოციალური ერთობა, რომელსაც საერთო ისტორია და ტერიტორიული კავშირ-ერთიერთობები აქვს. ამ მხრივ, ენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ელემენტია, რომელიც ერის სულიერ ერთიანობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ენის გაქრობა ან მისი სხვა ენაში ათქვეფა ერის გადაგვარებისა და სულიერი თუ კულტურული ერთიანობის რღვევის საწყისი ეტაპი იქნება.

„ენის ენერგია, ერის სულიერი ენერგიაა“, სწორედ ენა და დამწერლობა ასულდგმულებს ერს, იგი უნარჩუნებს მას ინდივიდუალურობას. როგორც უენერგიო ორგანიზმს არა აქვს შანსი რომ გადარჩეს, ასევე არა აქვს პერსპექტივა ერს, რომელმაც ენა დაივიწყა ან დაკარგა.

ერმა შეიძლება დაივიწყოს ისტორია, შეიძლება დაკარგოს ტერიტორია, მაგრამ თუკი იგი შეინარჩუნებს ენას, შეინარჩუნებს თავის კულტურულ და სულიერ ერთიანობასაც. „ქართველი ერის ნიშანთა შორის ყველაზე ძველი ნიშანი ენაა, ის მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა, ვიდრე ერთიანი ტერიტორია, ეკონომიკა და ფსიქოლოგიური წყობა, ენა ქართველი ერის ერთიანობას განსაზღვრავდა“. საუკუნეების განმავლობაში ერის ეროვნული გადარჩენის პასუხისმგებლობა ენამ იტვირთა.

ყველა ერისათვის მისი ენა ერთადერთია, ისე როგორც დედა. ქართველმა ერმა საკუთარ ენას დედაენა უწოდა და ის ერის სულიერი დედაა. ენამ შექმნა ერის ხატი, სამყაროს ხედვა.

ილია ამბობდა: „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა“. ენა იყო და იქნება თანაზიარი ერის ძნელბედობისა და დაღუპვის დროს, რადგან იგი მჭიდროდაა შესისხლხორცებული ქართულ ცნობიერებასა და ისტორიასთან.

არაერთხელ აღმდგარა ქართველი ერი ენისა და სულიერების გადასარჩენად. ასეთი მცდელობა ყოველთვის გამარჯვებით მთავრდებოდა. დღესაც ამ გამოძახილის წინაშე მდგართ არ გვანყენდა გაგვეხსენებინა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „ისევ ქართული ენის შესახებ“. ამ წერილში, ძირითადად, დიალექტური და რუსული ბარბარიზმების გამოყენების უარყოფაზეა საუბარი, მაგრამ არის ერთი ყურადსაღები აზრიც: „1905-1906 წლებში, სულ ორიოდ წელიწადში ყველა სომხები თავიანთ დედაენაზე ალაპარაკდნენ. როგორ მოხდა ეს ამბავი? სულ უბრალოდ: მოინდომეს და შეასრულეს, ხალხის ნებაყოფლობამ, უკვდავების ალლომ და სიცოცხლის წყურვილმა ასი წლის ნაშენი ზღუდენი გადალახა და თავისი ენით ამეტყველდა. არც ჩვენა გვაქვს სხვა გზა, გარდა ასეთივე ნებისყოფის, დაჟინების, შეგნებისა და სიცოცხლის წყურვილისა...“

ბევრი რამ კეთდება ენის დასაცავად, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი უნდა გაკეთდეს, რათა არ დაიკარგოს ქართული ენის ის სიდიადე, რაც მას სხვა ენებისაგან გამოარჩევს.

ენის დამახინჯება ერის კულტურული და სულიერი რღვევის დასაწყისია. ენის გადაგვარებით გაქრება ეროვნული ცნობიერება. ყველა ქართველის ვალია იზრუნოს, გაუფრთხილდეს და დაიცვას ენა, რადგან ის ერისა და ქვეყნის დულაბია, ერთიანი ორგანიზმის ბალავარია.

უამრავი სხვა მიზეზიც არსებობს, რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას:

- მსოფლიოს ყველაზე ლამაზი დამწერლობის ხუთეულში ქართული ანბანიცაა შესული;
- ქართული ენა მსოფლიოში ყველაზე რთული ენების ხუთეულში მოხვდა;
- ამერიკელმა მეცნიერებმა გრაკლიანის წარწერა ჩვ.წ. აღ-მდე XI-X საუკუნეებით დაათარიღეს;
- „ერთი ანბანის სამი სახეობა - ეს ფენომენალური და უნიკალური შემთხვევაა..“ - ასე შევიდა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ქართული ანბანი.

დაბოლოს, ზვიად გამსახურდია ამბობდა: „ის, ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც დაკარგავს. თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვვზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით მსოფლიოს ნამდვილი მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობის ნაშლა და გათქვეფა.“

ანა ოსეფაიშვილი

სოფელ კონხარის საჯარო სკოლა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

„ენა დედაა ერისა“, - ეს სიტყვები ყოველი ქართველისათვის კარგად ნაცნობია და საამაყო. საამაყო, რადგანაც ქართული ენის სიყვარულმა, მისი დაცვისთვის ბრძოლამ მოიყვანა ქართული სული, ქართული თვითმყოფადობა დღევანდელ დღემდე. მშობლიური ენით გაერთიანებულმა ერმა, შექმნა კულტურა და ხელოვნება ივერიისა.

ქართულ ენას ძალიან დიდი და მდიდარი ისტორია აქვს. ამ ისტორიას თავისი არსებობის მანძილზე ბევრი ახსოვს: კარგიც და ცუდიც. ერის თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების პროცესში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მშობლიური ენის დაცვა და განვითარება. მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოს, მიზანს, რწმენას მამულთან ერთად ენა და მისი დაცვა წარმოადგენდა.

1978 წელს საბჭოთა იმპერია შეეცადა დაემხო ისედაც ფორმალურად არსებული კონსტიტუციური სტატუსი ენისა. ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და სტუდენტებამ არ დაუშვეს საბჭოთა კონსტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის დაკნინება და 14 აპრილს გრანდიოზული აქცია გამართეს. იმპერია მოერიდა ვითარების გამწვავებას და უკან დაიხია. იმ დღიდან კი 14 აპრილი ქართული ენის დღედ ითვლება.

ბოლო პერიოდში საქართველოში იზრდება უცხოენოვანი სკოლებისა და უნივერსიტეტების რიცხვი. ბუნებრივია, ქართველმა სტუდენტმა კარგად უნდა იცოდეს უცხო ენაც, მაგრამ აუცილებელია, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდობა, პირველ რიგში, ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას და განათლებას იღებდეს სახელმწიფო ენაზე, რადგანაც, ენა განსაზღვრავს პიროვნების ცნობიერებასა და სამყაროს ხედვის სისტემას. უცხო ენით, დედაენის გარეშე გაზრდილი ადამიანი შორდება საკუთარ ფესვებს, კულტურას, ტრადიციას და ვერც სხვისას ითვისებს სრულყოფილად. შედეგად კი ვიღებთ არასრულფასოვან თაობას, რომელიც ნაკლებად ახდენს თვითრეალიზებას და სათანადოდ ვერ აღიქვამს გარესამყაროს.

თუ საბჭოთა ეპოქაში რუსულად ლაპარაკი იყო ჩვენში პრესტიჟული, ახლა ქართულ ენას ინგლისურიდან შემოსული სიტყვები მოეჯარა. ინგლისური სიტყვების გამოყენება მოდური გახდა, ერთი მეორეს დასცინის იმის გამო, რომ მან ქართულად ისაუბრა და ინგლისური სიტყვა არ გამოიყენა. მხოლოდ ზოგიერთს შესტკივა ამაზე გული, მაგრამ თითო ადამიანი ვერაფერს შეცვლის. ენის დაცვა ყველამ უნდა მოინდომოს. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ხშირად სწორედ ერთეულები განსაზღვრავენ პროგრესს.

კირიონ მეორემ ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ: „დედაენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი“. უცხო სიტყვებით ენის წალეკვა ადვილია, მის დაწმენდას კი თაობები დასჭირდება. ასე რომ, დავფიქრდეთ და ნუ გავაუცხოებთ იმ დედას, რომელსაც ენა ჰქვია. მოდით, ვიყოთ ცუდი ტრადიციის დამრღვევები და არ დავუშვათ რუსულის შემდეგ ინგლისური არასაჭირო სიტყვებით გავაჭუჭყიანოთ ჩვენი მეტყველება.

„ენა დედაა ერისა“, ოღონდ არა გაინგლისურებული, გარუსებული და გაუცხოებული, არამედ მხოლოდ ნამდვილი, ქართული, წმინდა ენაა ერის დედა. ენა, რომელმაც „ჩაკრულო“ იმღერა და შორეულ გალაქტიკებს უგზავნის ამ ენის მადლს. ენა, რომელმაც

მსოფლიოს თოთხმეტ დამწერლობას შორის თავისი სათქმელი ათასჯერ თქვა და შექმნა „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“ და უთვალავი საამაყო საუნჯე თაობიდან თაობაზე გადასაცემი. ათონის ჯვრის მონასტერშიც ქართულად ილოცა, რათა კურთხეული ივერია გაეძლიერებინა.

მშობლიური ენის დაკნინება აკნინებს ქართულ სულს. ქართველ ერს და მთელ მსოფლიო კულტურას უკარგავს იმ განუმეორებელ და უმდიდრეს საუნჯეს, რომელიც ქართულ ენასა და ქართულ შემოქმედებაშია დაუნჯებული.

აი, ამიტომ უნდა გავურთხილდეთ მშობლიურ ენას, ვიყოთ მისი ერთგული დამცველები და, რაც ყველაზე მთავარია, ვიამაყოთ ჩვენი სრულყოფილი ენით.

ბიორბი თავაძე

მე-3 საჯარო სკოლა, ბორის მუნიციპალიტეტი

„ხალხის ყველაზე სანუკვარი ტაძარი, მისი სულის ყველა სიღრმე, უპირველეს ყოვლისა, მის ენაშია“ (ჟიულ მიშლე). ერის თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების პროცესში არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მშობლიური ენა. ქვეყნების მსგავსად მასაც უწევს ომების გადახდა, ჭკვიანი მმართველები კი ყოველთვის ცდილობენ ამ სანუკვარი განძის შენახვას და თაობიდან თაობისთვის გადაცემას. ძველი კულტურის ხალხს სწამდა, რომ ენა მათ ღმერთმა შეუქმნა და დიდი მოწინებით უფროთხილდებოდნენ მას.

დღესდღეობით ბევრი დაკარგული ენაა, რომლებმაც საუკუნეებს ვერ გაუძლეს და დავიწყებას მიეცნენ. ისტორიულად ქართულმა ენამ ბევრი სირთულე და საშიშროება გადალახა. „ენაა ერთადერთი სამშობლო“, - ჩესლავ მილოშის ეს სიტყვები ბევრი ადამიანის მრწამსია, სწორედ ამან მოიყვანა ქართული თვითმყოფადობა დღემდე. ქართული ენით გაერთიანებულმა ერმა შექმნა უკვდავი კულტურა და ხელოვნება.

XIX - XX საუკუნეები ქართული ენისთვის და სრულიად საქართველოსთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა. რუსიფიკაცია, სკოლებიდან დანაცლებული ჟურნალ-გაზეთებით დამთავრებული, ყველაფერს შეეხო. სწავლა რუსულად მიმდინარეობდა. უამრავი ადამიანი საქართველოში ამ ცვლილებების მოწინააღმდეგე არ იყო, ბევრმაც თავი კომფორტულად იგრძნო რუსეთის უფლის ქვეშ. იქნებ სწორიც იყო ბედ-იღბალთან შეგუება?! „თერგდალეულები“, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, თავიანთი მთავარი იარაღით ცდილობდნენ ხალხის გამოღვიძებას. „ენა, საყდარი, სარწმუნოება“, - გრიგოლ ორბელიანისეული ეს ფრაზა გახდა ილიას ცხოვრებისეული მრწამსი და სწორედ ამ სამი სიტყვის არსს შესწირა თავი.

ოცდამეერთე საუკუნე, უამრავი სიახლისა და წარმატების დროა. მსოფლიო ვითარდება, საქართველო ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვეობას. ქართველმა ხალხმა მოახერხა რუსეთისგან თავის დაღწევა, თუმცა რუსული ენის კვალი დღემდე გვხვდება სალაპარაკო ქართულში ბარბარიზმების სახით: „ფეჩი“, „რუჩკა“, „სტოლი“, „პოლი“...

ინტერნეტის ეპოქამ უკიდურესად დააპატარავა სამყარო და ამჟერად ქართული ენა ინტერნეტის ენის - ინგლისური ენის გავლენის ქვეშ მოექცა. ინგლისურენოვანმა ბარბარიზმებმა მოიცვა ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტი და, ბევრი ქართველი ადამიანის გონება... პოლიტიკოსები, ხელოვნების მოღვაწეები და ინტელექტუალები სრულიად ხელოვნურად ამკვიდრებენ ინგლისურ, ქართველი ადამიანისთვის სრულიად გაუგებარ და არასაჭირო ახალ სიტყვებს, რომელთაც ქართულ ენაში მშვენიერი შესატყვისი ან შესატყვისებიც კი აქვთ. დღესდღეობით ინგლისური ენა საერთაშორისო ენაა და მისი ცოდნის გარეშე თანამედროვეობისთვის ფეხის აწყობა ურთულესია. უცხო ენის ცოდნა ადამიანს საშუალებას აძლევს, მსოფლიო თავიდან შეიცნოს. „ფლობდეთ მეორე ენას, ნიშნავს ფლობდეთ მეორე სულს“ (კარლოს დიდი). უცხო ენების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ არა მშობლიური ენის დაკნინების ხარჯზე. „ზურგის შექცევა დედა-ენისა დიდად ვნებს ხალხსა, აქვეითებს და უკან სწევს“ (იაკობ გოგებაშვილი).

არანაკლებ მტკივნეულია სალიტერატურო ქართულში ქუჩის ენის ანუ ეგრეთ წოდებული „ჟარგონის“ დამკვიდრება. პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, სატელევიზიო გადაცემების წამყვანები ხშირად იყენებენ მსგავს სიტყვებს, როგორებიცაა: „ჭიგარი,“ „დავიშოკე,“ „ტეხავს,“ „დამევასა,“ „გაჭედა,“ „გაასწორა...“ თანამედროვე ქართველი მწერლები,

რომელთა ვალიცაა ამ უგუნურების აღკვეთა, სწორედ ისინი იყენებენ თავიანთ ნაწარმოებებში მსგავს სიტყვებს. მთლიანობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო ქართულსა და ქუჩის ენას შორის ზღვარი თანდათანობით იშლება, რაც ქართულ ენას, როგორც სალიტერატურო ენას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

ახლა საქართველოში ილია ჭავჭავაძის მსგავსი ადამიანის პოვნა ძალიან რთულია, მაგრამ გასახარია, როდესაც მის საქმეს აგრძელებს სხვადასხვა პროქტი. „არა ბარბარიზმებს!“ - ამ დევიზით გაერთიანებული ხალხი ცდილობს ყველას გააგებინოს, რომ ქართული ენა საფრთხის წინაშეა. ქართული ენის სინმინდის დაცვა თითოეული ჩვენგანის პიროვნული ვალია და ამისათვის ბრძოლის ველი ჩვენი ყოველდღიური ყოფიერების საზღვრებშია მოქცეული.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მას განვითარების დიდი გზა აქვს გასავლელი. აუცილებელია ბევრი ახლის შექმნა, მაგრამ ჩვენი უნიკალური ენის დაკარგვა ჩვენივე უმოქმედობის გამო დაუშვებელია. ჩვენი ვალია, რომ განძი, რომელიც წინაპრებისგან გადმოგვცა, ჩვენი უგუნურების გამო არ დავთმოთ, გავუფრთხილდეთ და მომავალ თაობას გადავცეთ. ჩემი აზრით, ბრძოლაში დამარცხება სჯობს ბრძოლაში არშესვლას. სხვა შემთხვევაში ქართული ენა სწრაფად დაკარგავს თავის განსაკუთრებულ, უმდიდრეს სიტყვათა მარაგს და ხმოვანებას და სხვა ენების დანამატად გადაიქცევა. უნდა გავერთიანდეთ დედაენის დასაცავად! ყველაფერი ჩვენს ხელთაა: „სამშობლო მხოლოდ მინდორი-ველი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა“ (გურამ დოჩანაშვილი).

სალომე ლასარეიშვილი

94-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

ერთხელ ქართველებს ქართველობა შეგვირცხვინეს... უფრო სწორად რომ ვთქვათ, ენა შეგვიგინეს. ამაზე ქართველი ვერ დაცხრა. ან როგორ დაცხრებოდა?! ჰოდა, იმ ქართველმა იმდენი ქნა, რომ ბოლოს გადაასახლეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. იმ კაი მამის შვილს დიმიტრი ყიფიანს ეძახდნენ. აი, ასე ვერ აპატია შვილმა თავისი მშობლის შეურაცხყოფა მოძალადე სტუმარს. ასე ვიცით ქართველებმა! სხვანაირად ხომ არც შეიძლებოდა: რითიც სულდგმულობ, რითიც შენი მამა-პაპა იდგა, რითიც შენი ტრადიციები და ადათი გაქვს შემორჩენილი, იმის აუგად ხსენებას ვერ აიტან, თვალს ვერ დახუჭავ იმაზე, თუ როგორ გაგდებენ ფესვებიდან.

რითი ვდგავართ ქართველები? რამ გადაგვარჩინა? რით ვსულდგმულობთ? სწორედაც რომ ენის ძალა არ კლავს ჩვენში სასიცოცხლო სიმებს. ქართულად უძღეროდა ქართველის დედა მომავალ ვაჟკაცს ნანას, ქართულად ამხნევებდა ხოლმე: „დედა გენაცვალოს, მტერს არ შეუშინდე, შინ გამარჯვებული მოდიო“; ქართველი მეომრები ქართულად დასცემდნენ ხოლმე ყიფიანს: „ქართველო ხელი ხმაღს იკარო.“ „მუმლი მუხასაც“ ხომ ქართულადაა ამომღერებელი, ქეთოც ხომ ქართულმა ნანამ შემოაბრუნა ოჯახისკენ, „ვეფხისტყაოსანიც“ ხომ ქართულად დაწერეთ?! ჩვენი ყოველი სიმდიდრე ხომ ენით შემოგვინახავს და, ქართველს თუ ენას წაართმევ, წაუბიღნავ, მაშ, მისი სახსენელი ამოგიძირკვავს, მაშ, მისი ღირსებისათვის შეგიფურთხებია, მაშ, მისი არსებობის მიზეზი ჩვრად გაგიხდია და რა აზრი აქვს ენანართმეულ ქართველობას?! თუ ენა არ გაქვს, რად გინდა ტერიტორიის ნაგლეჯი, რომელსაც ზედმეტი ამპარტავნობით სამშობლოს დააარქმევ?! რა აზრი აქვს ღვთისმშობიმ რწმენას, თუ შენს ენაზე ვერ ილოცებ და სამშობლოს ძლიერებას ვერ შეღალადებ უფალს?! თუ ენა არ გვაქვს, რანი ვყოფილვართ - დატოვებულისთვის ვერ მიგვიხედავს!

ენა რომ დავკარგოთ, როგორ ვთქვათ სხვათა ენაზე: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსაო“? ენა რომ დავკარგოთ, როგორ უნდა ვიმღეროთ „იავნანა“? ენა რომ დავკარგოთ, რა ვუნოდოთ საქართველოს?! ენა რომ დავკარგოთ, როგორ ვთქვა, რომ თავისუფლება ლომთა ხვედრია?! ენა რომ დავკარგოთ, რა ვუთხრათ საქართველოს? ენა რომ დავკარგოთ, რა ენაზე წარმოვთქვათ უფლის საგალობელი?! ენადაკარგული ქართველების ქართველობა არ მანახო, ღმერთო! ასეთი საქართველო მტკივნეულია. ასეთ საქართველოში ხომ წყაროც ისეთი თავანკარა არაა, ცეკვაც ხომ ისეთი დინჯი და მომნუსხველი არაა, ქართველი კაციც ხომ ისეთი ომახიანი არაა, ასეთი საქართველო ხომ ჩვენი არაა?!

რა უნდა იყოს იმაზე დიდი ღვთით ბოძებული საჩუქარი, თუ არა „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა.“ ჩვენ ანბანი ანგელოზებმა გვიკარნახეს და ჩვენც საუკუნეებია არ დავგვიწყებია ეს ქართული... მასში რაღაც ზეციურია ჩართული, თითქოს მამაბეციერს მიუძღვის წვლილი. ამიტომაცაა ყველაზე რთული და ჩასაფიქრებელი, რომ ასეთივე ფიქრითა და გონებითაა შექმნილი.

ქართულ ანბანში თითო ბგერას თითო ასო შეესაბამება. რა აზრის წყობა, რა ბგერების გამა გინდა, რომ ქართულად არ შეიკაზმოს, არ დაიწეროს. თითო ასოში განსაკუთრებული ხელოვნება და სულისკვეთებაა ჩადებული, ერთად შეკრული კი ერთი თვალის ბეიმია! აბა, რა გვაქვს ამაზე ძვირფასი?

საქართველო ერთი ციდაა. ვინ აღარ გადაგვიარა, ვინ აღარ გაგვთელა, ვინ აღარ მოგვერია, ვინ აღარ შეგვიღება მინა სისხლით, ვის აღარ შევერკინეთ: რჯულიანსა თუ ურჯულოს, მაგრამ ათასობით საუკუნე ენა არ დაგვაზინყდა და ამ გაუთავებელ ომებსა და ჭირში ჩვენი ენა არ დავთმეთ და მივალწიეთ იმას, რომ დღეს 14 ანბანიდან ერთი, განსაკუთრებული, ქართულია. დიდი ტვირთი გვქონდა სატარებლად და მტერს არ დავანებეთ. მუხლებზე რომ დაგვაჩოქონ, ქართულად ვიტყვით: „არ ვნებდები!“ დედას სულ, სულ ქართულად ვეტყვით: „დედა, მიყვარხარ!“ ათასი ურჯულო რომ დაგვესხას თავს, ღმერთს ქართულად შევლაღადებთ: „უფალო!“ რაც უნდა გაგვიჭირდეს, ქართულად ვიტყვით: „დიდება საქართველოს!“ უღელში რომ შემბან და სასიკვდილოდაც გამიმეტონ, ქართულად ვიტყვი: „არ გავყიდი საქართველოს!“ ძმა რომ მოგვიკლან, ქართულად ვიტყვით: „ნეტარ იყავ, ძმობილო!“ ქეთევან დედოფალს რომ ბარბაროსულად აწამებდნენ, მტრის ქვეყანაში კარგა ხნის ნამყოფმა, ბოლო სიტყვა ქართულად თქვა: „შვილო.“ ამიტომ, სანამ ენა გვაქვს და ძალა, დავიცვათ ენის სინძინდე, მანამ საქართველოს გადაგვარება არ უწერია! მანამ ვიდგებით ფეხზე, სანამ გვემახსოვრება, რაც ქართულმა ენამ შემოგვინახა.

მაგრამ აქვე ჩემი გულისტკივილიც მინდა გაგანდოთ: შეიძლება მას არც არავინ გვართმევდეს, არავინ გვეცილებოდეს, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზთა გამოისობით ჩვენვე ვურევთ ენის ანკარა წყაროში ქვიშასა და ღორღს. ეს მეტად მომაკვდინებელია, რადგან, როცა გებრძვიან და იცავ, ესე იგი გაქვს სიყვარული, ძალა და პატივისცემა შემორჩენილი, მაგრამ, როცა შენ თავად შეურაცხყოფ, ბილწავ, მაშინ წყდება ყოველგვარი შემაერთებელი სიმი შენსა და ენის სინძინდეს შორის და ამ დროს ადვილად მოწყვლადი ხდები, გამოუსადეგარი შენი სამშობლოსთვის, რადგან, როცა არაფრად მიგაჩნია ენა, რომელმაც შოთას ენაზე აგამეტყველა, ხარ უძლები შვილი, რომელმაც მშობელს ღვანლი არ დაუფასა.

ჩვენში ერთმა კარგმა კაცმა თქვა: „კი, მარა, ამ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ დაინერა და თქვენ რით არ გეყოთ საბჭუტუროდო?!“ სწორიცაა. რა გვაქვს ქართველებს?! ტერიტორია და... ვინმეს გადავყლაპავთ, თოფი და... ვინმეს შევაშინებთ, თუ ეკონომიკურ ზენიტში ვართ და ვინმეს შევაშურებთ?! ერთი, რაც გვევალება, „ჩვენის“ დაცვაა, მოფრთხილებაა, შენარჩუნებაა, რომ აქეთ არ გადაგვყლაპონ და შეგვაშინონ. ვერავის მივბაძავთ. როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბრძანებდა, ჩვენ ვერც გავგერმანელდებით, ვერც გავამერიკელდებით, ვერც გავინგლისელდებით და ამ საცოდაობაში ქართველობასაც დავკარგავთო. უფალს ჩვენთვის მოუცია „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენა“, პატარა ნალკოტიც დაუთმია და ჭეშმარიტი რელიგიაც უბოძებია. ისლა დაგვრჩენია, მოვუფრთხილდეთ ამ საჩუქარს და, მანამ ვუნოდოთ ქართული და საქართველო, მანამ ვამღეროთ ჩვენი ქნარი და არ ამოვიკეროთ პირი, სანამ დედამინა კაცთა მოდგმას უძლებს!

ანა ჯაბნიძე

ბობოყვათის საბარო სკოლა, ეობულეთის მუნიციპალიტეტი

არაერთი სიტყვა თქმულა და დანერგა ქართული ენის სიდიადის შესახებ მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, პოეტისა თუ რიგითი ადამიანების მიერ. აქებენ მის კეთილხმოვანებას, ყოვლისშემძლეობას, გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრეს. არ არსებობს აზრი, მოვლენა, განცდა... ქართული სიტყვით რომ არ შეიძლებოდეს მისი გადმოცემა. და მე, ქართველს, სრულიად ბუნებრივად მიჩნდება უსაზღვრო სიამაყის გრძნობა რომ ეს, მართლაცაა, „ღმერთების ენა“, „რუსთველის ენა“, ჩემი ენა, ჩემი მშობლიური ენაა. სიამაყეს მისი ტოლფასი მოვალეობის გრძნობაც ახლავს. ენას, რომელმაც ამდენი საუკუნე გამოიარა და ჩემამდე მოვიდა, მოვლა და მოფრთხილება სჭირდება.

მოფრთხილება სჭირდება ჩვენს ენას არა მარტო იმიტომ, რომ სრულყოფილია, მშვენიერია და იმსახურებს სამყაროში სხვა ენების გვერდით არსებობას, იმიტომაც, რომ იგი ჩვენი წინაპრების ენაა. კიდევ იმიტომ, რომ მან მრავალი ქართველი გამოიარა, ისე, რომ არ შელახულა.

ენა ცოცხალი ორგანიზმია. იგი საზოგადოებასთან ერთად ვითარდება. მასზე აისახება საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, ურთიერთობები სხვა ხალხებთან. ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის, თუმცა არ ენათესავება არც ერთ სხვა ენას. რით შეიძლება აიხსნებოდეს ეს? ენათა ნათესაობით ხალხთა ნათესაობის საკითხიც დგინდება. ნუთუ ასეთი მარტონი გაგჩნდით ქვეყანაზე, უნათესაოდ?! არსებობს ვარაუდი ქართველი ხალხისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში მცხოვრები ძველი ხალხების მონათესაობის შესახებ. ის ხალხები გაქრნენ, ასიმილაცია განიცადეს მომხდურ ხალხებთან. გაქრა მათი ენაც. ქართველები კი დავრჩით და არსებობას განაგრძობდა ჩვენი ენა. იმ ვარაუდიდან გამომდინარე, რომ ერთმანეთს ვენათესავებოდით ქართველები და ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველი ხალხები, მონათესავე უნდა ყოფილიყო ჩვენი ენებიც. ალბათ, ამით აიხსნება ის მოსაზრება, რომ ქართველები ყველა დროში დასავლეთთან კავშირს ვარჩევდით და ვამჭობინებდით. ეს იყო, ალბათ, დაუოკებელი სწრაფვა ოჯახში დაბრუნებისა, გამთლიანებისა.

ჩვენს ქვეყანას ოდითგანვე ღია, გახსნილი ურთიერთობები ჰქონდა ჩვენ გარშემო მყოფ ხალხებთან, მათთან მჭიდრო კავშირის ფონზე ვითარდებოდა. ბუნებრივი მდებარეობის გამო საქართველო ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. აქ მკვეთრად იჭრებოდა მათი კულტურული გავლენა. თუმცა ჩვენი კულტურა მუდამ ინარჩუნებდა ქართულ ხასიათს, თვითმყოფადობას. განსაკუთრებით ფართო კავშირები იყო ახლო აღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციებთან. ეს ურთიერთობები აისახებოდა ენებზეც. ქართულმა ენამ მიიღო როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური ენებიდან სიტყვები. ისე, როგორც ქართული სიტყვები შეიჭრა მეზობელი ხალხების ენებში. შემოსული სიტყვები ქართულმა ენამ იგუა, შეისისხლხორცა, ქართული ელფერი შესძინა. მათ ნასესხები სიტყვები ჰქვია და იგი სულაც არ ამდაბლებს, აუფერულებს ენის სიდიადეს. ყველა დიდ, განვითარებულ, მდიდარი ლექსიკის მქონე ენას გააჩნია ნასესხები სიტყვები.

ქართულმა ენამ ქართველ კაცთან ერთად ძნელი და ეკლიანი გზებით იარა. ყველა ჯურის დამპყრობელი და მტარვალი აქ მოდიოდა, მოსურნე ქართული გენის, ენისა და სისხლის გადაშენებისა, გავუძელით ჩინგიზ-ხანებს, თემურ-ლენგებს, შაჰ-აბასებს... ქართული ენაც

დაუმონებელი, დაუმორჩილებელი სულის ამაყი ამღერებაა. აკი მშობლიურ მიწა-წყალს მოგლეჯილი ქართველები დღესაც, საუკუნეების მერეც, მღერიან ფერეიდანში ქართულად.

ჭირგამოვლილი, მაგრამ გაუტეხელი ქართველი გმირულად მოვიდა მეცხრამეტე საუკუნემდე და დახმარების მზერა ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს მიაპყრო. რუსეთს კი თავისი იმპერიული მიზნები ჰქონდა, ქართველი ხალხის გარუსებას მიჰყო ხელი. იცოდა, მთავარი ლახვარი სად უნდა ჩაეცა. ენა უნდა წაერთვა ქართველისათვის. საჯარო სამსახურებში საქმის წარმოება რუსულ ენაზე გადავიდა. ქართველ მოსწავლეს სასწავლებელში მშობლიურ ენაზე დალაპარაკება ეკრძალებოდა. ნამდვილი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ზოგმა ქართველმა რუსულად დაიწყო აზროვნება - პატარა ერები უნდა გადაშენდნენ, დიდ ერებს უნდა შეუერთდნენო. ამ რუსულ აზრებს რუსული ენით გადმოსცემდნენ, გადაგვარების ნამდვილი საფრთხე გაჩნდა. ამას ჩვენთან ვერცერთმა სხვა მტერმა ვერ მიაღწია. როცა ძალიან გაუჭირდება ერს, განგება ეროვნულ გმირს მოუვლენს ხოლმე. ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულთა მთელმა დასმა იბრძოლეს, იღვანეს და შემოგვინახეს ქართული ენა, ლალი და ამაყი.

კიდევ ერთი განსაცდელი ჩვენს ენას საბჭოეთის მძიმე წლებმა მოუტანა. 1978 წელს კონსტიტუციიდან ერთადერთი ეროვნული მუხლის ამოღება გადაწყვიტეს. ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი უნდა გამოსცლოდა. ენის შესანარჩუნებლად ფეხზე დადგა ინტელიგენცია, სტუდენტობა, სრულიად ქართველობა და აიძულეს იმპერიული ხელისუფლება, დათმობაზე წასულიყო. 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა. გულანთებულმა ქართველებმა ძეგლი დაუდგეს დედაენას. არა მგონია, ბევრ ხალხს აეგოს ძეგლი საკუთარი ენისათვის.

ქართულმა ენამ უამრავი ჭირ-ვარამი გამოიარა. დრო გამოსცადა და თავადაც გაუძლო დროს. იგი ჩვენი სულის წკრიალია, ქართული ხასიათის ამღერებაა, უშრეტი და თავანკარა. რა ხდება დღეს? ცხოვრება ვითარდება. სიახლეს მისი შესატყვისი ახალი სიტყვა სჭირდება და აივსო ქართული ენა უცხოური ტერმინებით. ჩემი აზრით, მსოფლიო გლობალიზაცია გაერთფეროვნებას სულაც არ გულისხმობს, არამედ თანასწორუფლებიანი ერების თანაარსებობას. ჩვენმა წინაპრებმა მოიტანეს ჩვენამდე შეურყვნელი ენა. ჩვენი ვალია, მოვუფრთხილდეთ მას. ახალი ფორმები მის წიაღში, ფესვებში ვეძიოთ, იქნებ დიალექტებიც დაგვეხმაროს. ქართულ ენას ხომ ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია. საკუთარი თავის წინაშე და მომავალი თაობების წინაშეც, რომ ვიყოთ მართლები, ნუ დავამახინჯებთ მას და ისეთი დავიცვათ, როგორც შექმნილა, ხალასი და მზესავით მაცოცხლებელი.

თათია გოჩაშვილი

24-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

„ჭოგრი მოკვდა, თეიმურ, ველარ აღადგენ.

დურბინდი კი ცოცხალია ხალხის თავში“

ვფიქრობ, ბევრი დამეთანხმება, რომ კაცობრიობის უდიდესი ქმნილება - ენაა, რომელიც თავის თავში მხოლოდ დამწერლობას, ანბანს ან თუნდაც გრამატიკას არ მოიაზრებს. ენა ქმნის კულტურას, განსაზღვრავს ერის იდენტობას. თავის მხრივ, ყოველი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა თანამემამულესთან, რადგან, როგორც ერთ ფასეულობებზე აღზრდილებს, ერთმანეთის ყველაზე კარგად ესმით. თუ ამ კავშირის მთავარი ჯაჭვი ეროვნული და კულტურული სიახლოვეა, ხოლო ამას ენა ქმნის, შესაბამისად ნებისმიერი კომპონენტის დაკარგვა მძიმე შედეგამდე მიგვიყვას. რეალურად, ენის დაკარგვა, ერის იდენტობის დაკარგვის ტოლფასია. დღეს აქტუალური გახდა ქართული ენის დაცვის საკითხი, რადგან, კვლავ გაიზარდა ის ფაქტორები, რომლებიც ოდითგანვე ქართული ენის შევიწროებას ცდილობდა. თუ მიხეილ ჯავახიშვილის ეპოქაში ამ პრობლემას რუსული ენა წარმოადგენდა, ოცდამეერთე საუკუნეში ქართულ ენას ინგლისური ბარბარიზმები უტევს. ამის მთავარ მიზეზად შეგვიძლია გლობალიზაცია მივიჩნიოთ, მაგრამ, თუ უფრო მონდომებით გამოვიკვლევთ ამ საკითხს, მას გვერდს უმშვენებს ისეთი მოვლენა, როგორიც არის ქართველი ერის გულგრილობა.

მსოფლიოში დაახლოებით 6000-მდე ენა არსებობს და მათ შორის ღირსეული ადგილი ქართულსაც უჭირავს, რომელიც მათ შორის გამორჩეულია თავისი უნიკალურობით. 2017 წელს ქართული ანბანი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. ქართული ენა ლექსიკური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას... შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა,“ - წერდა ნიკო მარი. თუ ქართულ ენას აქვს პოტენციალი რომ იყოს მსოფლიო ენა, მაშინ ალბათ ადვილი მისახვედრია რომ მისი დაცვა აუცილებელია და ყველა ქართველის მოვალეობაა.

რა თქმა უნდა ენის ბარბარიზმებით გადავსებას გლობალიზაცია იწვევს. სოციალურ-ვირტუალური სამყარო, რომელსაც თანამედროვე ქართველ ადამიანზე უდიდესი გავლენა აქვს, ბარბარიზმების პირველი წყაროა. თუნდაც მაგალითად ავიღოთ ცნობილი სოციალური ქსელი „ფეისბუქი“. აქ პოპულარულია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „ივენთი“, „ლაიქი“, „ჩექ-ინი“. ისინი იჭრებიან და იჭრებიან ქართულ ენაში და ამ ყველაფერს ბოლო არ უჩანს. ჩემი სუბიექტური აზრით, ამ პროცესის და საერთოდ გლობალიზაციის წინააღმდეგ უსუსურობა, ინგლისურისა და ქართული ენების დაბალ დონეზე ცოდნამ განაპირობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლების ის დაბალი ხარისხი, რომელიც საქართველოშია, არ აძლევს განვითარების საშუალებას ჩვენს გონებას. ამასთან ერთად, მინდა გამოვკვეთო პრობლემა, რომელიც იმაში გამოიხატება რომ ქართულ საზოგადოებას მოსწონს უცხოური სიტყვები. ამის გამოა, რომ ბარბარიზმებისა და საერთოდ ინგლისური სიტყვების სიმრავლე იგრძნობა თუნდაც თანამედროვე ქართულ მუსიკაში. მაგალითად მოვიყვან ქართულ პოპულარულ ჯგუფს „Kaya Kata-ს“. მათი ერთ-ერთი სიმღერის ტექსტი ასეთია: „დილას di dilas დი ლას ... I like my dope clean. I like my jungle dirty dirty.. ვინმემ არ აურიოს blah“. ტექსტში ინგლისური სიტყვები თითქოს რითმის გასაუმჯობესებლად არის მოყვანილი, მაგრამ რუსთაველისა და გალაკტიონის ქვეყანაში

ძნელია დაიჯერო, რომ ქართულ ენაში არ მოგვეპოვება ის სიტყვები, რომლებიც სიმღერის რიტმს მოუხდება. თავის მხრივ კულტურულ სფეროში ბარბარიზმების სიმრავლე მათ პოპულარიზაციას იწვევს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერის პასიურობას მივყავართ ეროვნული თვითშეგნების დაქვეითებამდე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულმა ენამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, შეგვიძლია გავხსენოთ მეთე საუკუნე, როდესაც საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა. ამ პროცესს კი წინ უძღოდა ქართული ენის სამეფო-სამთავროებში გავრცელება და ენობრივ-კულტურული გაერთიანება. თანამედროვე ქართულ საზოგადოებას არა აქვს გაცნობიერებული თუ რამხელა პრობლემის წინაშე დგას ქართული ენა. ასეთი განწყობის ბრალია, რომ დღეს იმაზე გვიწევს ფიქრი რატომ და როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ მას. მისი დაცვის ღონისძიებები წარსულში მრავლად იყო. თუნდაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა. მათ კიდევ უფრო განამტკიცეს კავშირი ქართველ კაცსა და ქართულს შორის. ხოლო, როდესაც მისი გაქრობის საშიშროება კვლავ გამოჩნდა, მაგალითად 1978 წელს, ქართველმა ერმა პროტესტი გამოთქვა. შესაბამისად, დღეს გვაქვს 14 აპრილი - დედაენის დღე. შექმნილი სიტუაცია კი დღეს უფრო აქტიური ქმედებებისკენ გვიბიძგებს. უცხო ენის (ამჟერად ინგლისური ენის) სიტყვების მასობრივი შემოსვლა ქართულ ენაში აუცილებლად გამოიწვევს სერიოზულ ძვრებს ენის ყველა დონეზე.

ქართული ენა არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი და, ყველასი, განსაკუთრებით კი ქართველის ვალაია დაიცვას იგი. ადამიანს შექმნა-შენებასთან ერთად განადგურებაც შესანიშნავად გამოსდის. ამიტომ, თუ ამ ყველაფერს უფრო „ფართოდ გახეილილი თვალებით“ შევხედავთ, შეიძლება შევძლოთ არასასურველი შედეგების თავიდან აცილება. მიუხედავად იმისა რომ, ზოგჯერ ძნელია გამოხატო შენი სათქმელი, თუნდაც შენს მშობლიურ ენაზე, არ შეიძლება ამის გამო ამ სათქმელის გამოსახატავად სხვა ენის სიტყვები გამოიყენო. საბოლოოდ მინდა ვთქვა რომ ეს ყველაფერი ჩემი სუბიექტური აზრია. შექმნილ ვითარებაში რთულია ყველაფერი ობიექტურად განსაჯო, თუმცა პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ არც ჩემი ქართულის ცოდნის დონე არ არის საოცარი, ვფიქრობ თუნდაც ამ თხზულებით, იმ დიდი საქმის პატარა ნაწილი ვარ, რომელიც უმთავრესს - ქართულის დაცვას უკავშირდება. თითქოს ყველამ იცის რატომ მოუფრთხილდეს მშობლურ ენას, მაგრამ კითხვაზე - „როგორ?“ პასუხი ბევრს არა აქვს. სწორედ ასეთი პროექტები და ღონისძიებები შეძლებენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

მანანა უშვერიძე

სოფელ კონხარის საჯარო სკოლა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ - ასე გვეუბნება წიგნთაწიგნი და არც გვაქვს საბაბი, თუ მიზეზი სხვაგვარად ვიფიქროთ. ბევრი სიტყვა ერთად ხომ ენაა, ლოცვაა, სიმღერაცაა და სიყვარულიც. ენა კი იავნანაა და დედის სიტბოა, მამის დალოცვაა, ერის მთლიანობაა და ქვეყნის სიძლიერეა. ლოცვა საშუალებაა უზენაესთან მიახლოებისა, გამართლებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი „ხატად და მსგავსად თვისსა“. სიმღერა ხომ სამადლობელია განგების მიმართ აღვლენილი. ენა სიყვარულიცაა, სიყვარული კი თავად უფალია და ამიტომაც არის ყველა ერთად განუმეორებელი, შეუდარებელი და შეუცვლელიც.

ენის ერთ-ერთი სახე დამწერლობაა, ისეთი ჯადოსნური ნიშნების ერთობაა, რომელიც ბევრ საიდუმლოებას ინახავს. ჩვენი ანბანის პირველი ნიშანი „ანი“, თითქოს ცისკენ მიგვანიშნებს, „ბანი“ ძალიან ჰგავს გასაღებს და ამ ლოგიკით ორივე ერთად კი „ცის გასაღებს“ უნდა ნიშნავდეს. „ანი“ ხომ შუმერთა მთავარ ღვთაებასაც ერქვა. იმ ხალხის სალოცავს, რომლებმაც შექმნეს პირველი დამწერლობა დედამინაზე. მათ შთამომავლებს კი დღესაც ეძებენ მეცნიერები მთელ მსოფლიოში, თუმცა საძებარი შეიძლება არც არაფერი იყოს. ეს ხალხი ხომ იმ მდინარეებს შორის ცხოვრობდნენ, საიდანაც ჩვენი „დედა-მდინარე“ მტკვარი იღებს სათავეს. ჩვენთვის მშობლიური და კარგად ნაცნობი „ნანა“, „ბაბა“ მათი მდებარეობითი და მამრობითი ღვთაებები იყო. შუმერების მზის ღმერთის „ლილეს“ საგალობელს დღესაც მღერიან სვანეთში. მათივე დედაქალაქის „ურის“ მთავარი ღვთაების „ანისა“ და ადამის შეერთებით კი მივიღებთ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა ადამი-ანი და ადამი-ან-ური. ბევრი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ ქართველები ვართ პირველი დამწერლობის შემქმნელების შთამომავლები.

ენა ასევე ხომ ლექსად თქმული ბიბლია „ვეფხისტყაოსანია“, ფარნავაზობაა, დავითობაა, თამარობა და ქეთევანობაა, აკაკი, ილია და ვაჟაობაა, გალაკტიონობაა და „იყო იგი სხვაი ჩემი“ - ესაა და სხვა მრავალიცაა.

ენა დედაა და ამიტომაც შეუცვლელია, მამაა და ამიტომაც საწყისია, სამშობლოა და ერთადერთია, ჩვენი ადგილია სამყაროში, „ჩაკრულოა“ კოსმოსში, „მრავალჯამიერია“ დედამინაზე, ფერთაფერია და ყველა ფერიცაა ერთად. მის გარეშე სიბნელეა, სიცარიელეა, გაქრობაა და თუ ეს ასეა, მაშინ ის გასაფრთხილებელია, მოსაფრებელია, დასაცავია, ამავდროულად დამცველიცაა, გადამრჩენიცაა, ჩვენი იდენტობაა, ცის გზაცაა და ჭეშმარიტებაა.

უფალმა ადამიანთა მოდგმას გვარგუნა სამი შეუცვლელი საუნჯე: მამული, ენა, სარწმუნოება, რომლებიც საამაყოა, დასაცველია, გასაფრთხილებელია. მსოფლიოში დაახლოებით ექვსი ათასი ენაა, ანბანი კი აქედან მხოლოდ თოთხმეტს გააჩნია. მათ შორის ერთ-ერთი არის ქართული ენა, რომელმაც გაუძლო საუკუნეების ქართველებს, ენა, რომელმაც გაუძლო არაბთა, მონღოლთა, სპარსთა და სხვათა შემოსევებს. ქართველებმა მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად შეინარჩუნეს ენა.

ქართველი კაცისთვის კი უპირველესი, უმთავრესი მოვალეობა ოდითგანვე იყო გაფრთხილება და საჭიროების შემთხვევაში თავის განჩირვა ენისთვის და მამულისთვის.

„მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას“.

„დედაენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი, დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი“.

„ქართული მართო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვაროა! იმოდენაა!“

ჩვენ, ქართველები მშობლიურ ენას „დედაენას“ ვუწოდებთ. ეს კი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენთვის მშობლიური ენა დედასავით ძვირფასი, ერთადერთი და განუმეორებელია. ვერც ერთი ხელქმნილი განძი, თუნდაც ტაჯმაჰალი თუ ეგვიპტური პირამიდები მთელი თავისი აგებულებით თუ სიმდიდრით, ვერც ერთი ნივთიერი განძი ვერ შეედრება ენის საუნჯეს და სიმდიდრეს. ჩვენი მოვალეობა კი საკუთარი ქვეყნის, მისი ისტორიის და უპირველესად, საკუთარი ენის გაფრთხილება და დაცვაა. ენის, რომელშიც ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალია განივთებული.

მარიამ ვარაზაშვილი

94-ე საჯარო სკოლა, ე. თბილისი

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“ - უთქვამს დიდებულ რომანტიკოსს, გრიგოლ ორბელიანს. ეს ის სიტყვებია, რომლებიც, ალბათ, თითოეული ჩვენგანის გონებაში ამოტივტივდება ხოლმე ენის ხსენებაზე. მაშ, რა არის ენა, რომელზედაც ერის ყოფნა- არყოფნაა დამოკიდებული? ენა - ეს საუნჯეა, ეთნოსის თვითმყოფადობის გამომხატველი. ისე კარგად არაფრით იცნობა და არაფერი ახასიათებს ერს, როგორც ენა, ის ხომ შესისხლხორცებულია ჩვენს არსთან, მეობასთან, მორალთან, უხილავი ძაფებით მიბმულია ჩვენს სულთან. „ენა ერისა არის საუკეთესო ყვაველი მისი ცხოვრებისა, ყვაველი დაუმჭკნარი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტელივ იფურჩქნება,“ - წერს კ. უშინსკი. მართლაცდა, ჩვენი არსობის ყვაველია ენა, რომელიც ჩვენი საზრდოობს, ჩვენ კი - მისით. სწორედ ამიტომ უნდა მოვუფრთხილდეთ მას, როგორც ყლორტს, მივცეთ საშუალება, გაიფურჩქნოს და რაც შეიძლება ღრმად გაიდგას ფესვები.

განა ტყუილად ლამობდა საბჭოთა ხელისუფლება ქართულისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევას? რაში სჭირდებოდა მას ეს? მტერმა იცოდა, რომ ენის დაკარგვა გატეხდა ერს, იცოდა, რომ ამით გამოაცლიდა მას საყრდენს და მისი დაკარგვა ქართველობას გადაგვარებას უქადდა. როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა, ჩვენ მერცხლები ვიყავით, რომელთაც ჭიკჭიკი აუკრძალეს და აიძულეს, შოშიასავით ესტვინა. როგორ მოიქცა მაშინ ქართველობა? წინ აღუდგა მათ ნებას თუნდაც სისხლისღვრის ფასად. რატომ? ვფიქრობ, იმიტომ, რომ გაითავისა ენის მნიშვნელობა, „იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება“. მაშინ არ დავთმეთ, მოვუფრთხილდით და დღეს ეს ფაქტი სიამაყეს აღგვიძრავს გულში.

კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ ამ ღვთაებრივ საუნჯეს, შთამომავლობაა. ის, რაც სიამაყით მოიტანეს წინაპრებმა ჩვენამდე, მომავალ თაობებს შეუბღალავად უნდა გადაცეთ. კიდევ ერთხელ დავესესხოთ კ. უშინსკის: „თაობანი ერთიმეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად“.

ენა აღწერს და ინახავს ერის მთელ კულტურას, ისტორიას.

დღეისათვის ქართულ ენაში თითქოს შესუსტდა რუსული ბარბარიზმების ნაკადი, რომელიც ესოდენ ამძიმებდა მას, თუმცა წარსულმა თავისი წარუშლელი კვალი მაინც დააჩნია და დღემდე ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მეტყველებაში ისეთი რუსული სიტყვები, რომლებსაც ჩინებული ქართული შესატყვისები გააჩნია. მაშ, რატომ ვამბობთ „სემიჩკას“, როცა შეგვიძლია, ის ჩავანაცვლოთ ულამაზესი ქართული სიტყვით - მზესუმზირა?

დღეს ჩვენს ენას კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე ვაყენებთ, თანაც ეს თითქოს უწყინარ ქმედებად მიგვაჩნია, მაგრამ რეალურად საქმე მართლაც ასე როდია! ინგლისური ბარბარიზმების ყოველდღიური გამოყენებით ასევე საფრთხეს ვუქმნით ქართულ ენას.

საქართველო პატარა ქვეყანაა, წარმოვიდგინოთ, რომ ეს პატარა ქვეყანა უფსკრულის პირას დგას, ისიც წარმოვიდგინოთ, რომ მის წინ მყარი, განიერი ხიდია, რომელზედაც ან გაივლის და მეორე ნაპირს მიაღწევს, ან დაკარგავს ამ შანსს და უფსკრულში გადაეშვება. ეს ხიდი ჩვენი ენაა, კულტურაა, თვითმყოფადობაა. ნუთუ გვაქვს იმის უფლება, გვერდი ავუაროთ ამ ხიდს და თვალებზე დაგვიხვეთ უფსკრულში?! ნუთუ ჩვენ, ამ თუნდაც

ხუთმილიონიან ქართულ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებას, შეგვიძლია დავკარგოთ ის უდიდესი განძი და შანსი, რომელიც წარსულმა ამდენი ბრძოლის ფასად გვიანდერძა?! საქართველოს გააჩნია ის საოცრად ფასეული რამ, რასაც ენა ეწოდება. ის არის მხსნელი ქართველობისა, ის არის საფუძველი ჩვენი წინსვლისა. ამიტომაც, ყოველთვის, როცა ბარბარიზმი მოგვადგება ენაზე, ყოველთვის, როცა ენის „დაბინძურებას“ გავივლებთ გულში, წარმოვიდგინოთ დარბაისელი შოთა, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ პოემას ქართულ ენაზე წერდა, წარმოვიდგინოთ ჭაღარით მოსილი მოხუცი მგოსანი, აკაკი, ხელზე სახედაყრდნობილი როგორ ქმნიდა ფასდაუდებელ შემოქმედებას ქართულ ენაზე, წარმოვიდგინოთ წარბანული ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსების გეგმებს სახავდა ქართული ენის განსავითარებლად... ყოველივე ეს და მრავალი სხვა გახლავთ იმის მიზეზი, რომ დღეს ქართველობა არსებობს და ამაყობს თავისი წარსულით, და, თუ გვსურს, ამ ჯაჭვს კვლავ მოემატოს რგოლები, ასევე შეურყვნელად უნდა გადავცეთ მშობლიური ენა შთამომავლობას.

„დანგრევა ადვილია, ხოლო აღდგენა - ფრიად ძნელი და მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზე ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც იცავს თავის ენას, ზნესა და ჩვევას,“ - ასე ქადაგებდა კირიონ მეორე ქართული ენის შესახებ. მსოფლიოს 14 ანბანსა და 6000 ენას შორის არის ქართული საუნჯეც, რომელიც ხაზს უსვამს ქვეყნის უნიკალურობასა და ღირსებას, სწორედ ამიტომ ვართ ვალდებულნი, ვიზრუნოთ მასზე და გავუფრთხილდეთ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას ენას!

**დიდი ინგლისურ-ქართული
ონლაინ-ლექსიკონი**

<https://dict.ge>

**ინგლისურ-რუსულ-ქართული
ტექნიკური ონლაინ-ლექსიკონი**

<https://techdict.ge>

**ინგლისურ-ქართული
ბიოლოგიური ონლაინ-ლექსიკონი**

<https://bio.dict.ge>

**ინგლისურ-ქართული
სამხედრო ონლაინ-ლექსიკონი**

<https://mil.dict.ge>

ბარბარიზმების ლექსიკონი

<https://barbarisms.ge>

მოდრაობა [#არაბარბარიზმებს](#)

<https://barbarisms.ge/arabarbarizmebs/>

<https://facebook.com/arabarbarizmebs/>

თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი

https://www.tsu.ge/ge/research/institutes_centers/a15mvp0_jkq9b95jg/lexicographic/